

სსბასს 44 - გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები

გამომცემლისაგან

წინამდებარე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (სსბასს), ძირითადად, ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ 5-ს (ფასს 5), *გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები*“, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ზსფ) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (სსბასსს) წინამდებარე გამოცემაში გამოყენებულია ამონარიდები ფასს 5-დან, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) ფონდის ნებართვით

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს ბასსს-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი, რომლის ასლები შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს უშუალოდ ფასს-ის საგამომცემლო დეპარტამენტში, შემდეგ მისამართზე: First Floor, 30 Cannon Street, London EC4M 6XH, United Kingdom.

ელ. ფოსტა: publications@ifrs.org

ვებ-გვერდი: www.ifrs.org

ფასს-ები, ბასს-ები, განსახილველი პროექტები და ბასსს-ის სხვა გამოცემები დაცულია ფასს-ის ფონდის საავტორო უფლებით.

“IFRS,” “IAS,” “IASB,” “IFRS Foundation,” “International Accounting Standards,” და “International Financial Reporting Standards” ფასს-ების ფონდის სავაჭრო ნიშნებია და არ უნდა იქნეს გამოყენებული, ფასს-ების ფონდის თანხმობის გარეშე.

სსბასს 44 - გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები

შინაარსი

პუნქტი

მიზანი	1
მოქმედების სფერო	2-8
განმარტებები	9-10
გრძელვადიანი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) კლასიფიკაცია, როგორც გასაყიდად გამიზნული ან მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული	11-21
გასაუქმებელი გრძელვადიანი აქტივები	20-21
გრძელვადიანი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) შეფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული	22-38
გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) შეფასება	22-27
გაუფასურების ზარალისა და მისი აღდგენის აღიარება	28-33
გაყიდვის გეგმის ან მფლობელებზე განაწილების გეგმის შეცვლა	34-38
წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები	39-57
შეწყვეტილი ოპერაციების წარდგენა	40-46
განგრძობით ოპერაციებთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი	47
გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივის ან გამსვლელი ჯგუფის წარდგენა	48-50
დამატებითი განმარტებები	51-57
ძალაში შესვლის თარიღი და სტანდარტზე გადასვლა.....	58-60
ძალაში შესვლის თარიღი	58-59
გარდამავალი დებულებები	60

დანართი „ა“: მითითებები გამოყენებაზე
დანართი „ბ“: სხვა სსბასს-ების შესწორებები
დასკვნის საფუძველი
მითითებები დანერგვაზე
ფასს 5-თან შედარება
სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკასთან (GFS) შედარება

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტი მიზნად ისახავს გასაყიდად გამიზნული აქტივების ბუღალტრული აღრიცხვის წესის განსაზღვრას და შეწყვეტილი ოპერაციების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას. კერძოდ, წინამდებარე სტანდარტი მოითხოვს, რომ:
 - ა) აქტივები, რომელიც პასუხობს კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც შესაძლოა მათი კლასიფიცირება, როგორც გასაყიდად გამიზნული, უნდა ფასდებოდეს საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით და ასეთ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა უნდა შეწყდეს; და
 - ბ) აქტივები, რომელიც პასუხობს კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც შესაძლოა მათი კლასიფიცირება, როგორც გასაყიდად გამიზნული, ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ხოლო შეწყვეტილი ოპერაციების შედეგები კი ცალკე - ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში.

მოქმედების სფერო

2. ერთეული, რომელიც ამზადებს და წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების ბუღალტრული აღრიცხვისთვის და შეწყვეტილი ოპერაციების შესახებ ინფორმაციის წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების მომზადებისთვის წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს.
3. მოცემული სტანდარტის კლასიფიკაციისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესები ვრცელდება ყველა აღიარებულ გრძელვადიან აქტივზე¹ და ერთეულის ყველა გამსვლელ ჯგუფზე. სტანდარტის შეფასების მოთხოვნები ეხება ყველა აღიარებულ გრძელვადიან აქტივსა

¹ ერთეულის ლიკვიდაციის წარდგენის შესაბამისად კლასიფიცირებული აქტივებისათვის გრძელვადიანი აქტივები ისეთი აქტივებია, რომლებიც მოიცავს თანხებს, რომელთა ამოღებაც მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან თორმეტი თვის შემდეგ. ასეთი აქტივების კლასიფიცირება მოცემულია მე-4 პუნქტში.

და გამსვლელ ჯგუფს (როგორც მე-5 პუნქტშია მოცემული), გარდა მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი აქტივებისა, რომელთა შეფასება გაგრძელდება ამ პუნქტში მითითებული სტანდარტის შესაბამისად.

4. სსბასს 1-ის - „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“ - მიხედვით გრძელვადიან აქტივებად კლასიფიცირებული აქტივების კლასიფიკაციის შეცვლა მოკლევადიანი აქტივებად არ შეიძლება, სანამ ისინი არ დააკმაყოფილებს ამ სტანდარტის კრიტერიუმებს მათი კლასიფიცირებისათვის, როგორც გასაყიდად გამიზნული. აქტივების ჯგუფი, რომელსაც ერთეული, როგორც წესი, გრძელვადიან აქტივად განიხილავს და შეძენილია მხოლოდ და მხოლოდ ისევ გაყიდვის მიზნით, კლასიფიცირებული არ უნდა იყოს როგორც მოკლევადიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი პასუხობს წინამდებარე სტანდარტის კრიტერიუმებს, რომლის მიხედვით მათი კლასიფიცირება შეიძლება, როგორც გასაყიდად გამიზნული.
5. ზოგჯერ ერთეული ლიკვიდაციის პროცესში ერთი გარიგებით უშვებს მთლიანად აქტივების ჯგუფს, რომელსაც შესაძლოა თან ახლდეს პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებებიც. ასეთი გამსვლელი ჯგუფი შესაძლოა მთლიანად ან ნაწილობრივ შედგებოდეს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ან ერთეულებისაგან². ამ ჯგუფში შესაძლოა შედიოდეს ერთეულის ნებისმიერი აქტივი ან ვალდებულება, მათ შორის მოკლევადიანი აქტივები, მოკლევადიანი ვალდებულებები და ისეთი აქტივებიც, რომლებიც მოცემული სტანდარტის შეფასების მოთხოვნებიდან ამოღებულია მე-6 პუნქტის მიხედვით. თუ გრძელვადიანი აქტივი, რომელიც ამ სტანდარტის შეფასების მოთხოვნებს ექვემდებარება, გამსვლელი ჯგუფის ნაწილია, მაშინ სტანდარტის შეფასების წესები ვრცელდება მთლიანად გამსვლელ ჯგუფზე და ამიტომ ჯგუფის შეფასება ხდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. გამსვლელ ჯგუფში შემავალი ინდივიდუალური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების წესები მოცემულია 26-ე, 27-ე და 31-ე პუნქტებში.

² თუმცა, თუ ამ აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადი უშუალოდ გაყიდვიდან გამომდინარეობს და არა გრძელვადიანი გამოყენებიდან, ისინი სხვა აქტივებიდან მისაღებ ფულად სახსრებზე ნაკლებად ხდება დამოკიდებული და გამსვლელი ჯგუფი, რომელიც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ნაწილი იყო, ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი დამოუკიდებელი ერთეული.

6. წინამდებარე სტანდარტის შეფასების წესები³ არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც შედის ქვემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების მოქმედების სფეროში, როგორც ინდივიდუალური აქტივი ან გამსვლელი ჯგუფის ნაწილი:

- ა) გადავადებული საგადასახადო აქტივები, რომლებიც განეკუთვნება შესაბამისი საერთაშორისო ან ეროვნული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის მოქმედების სფეროს, რომელიც მოგების გადასახადს ეხება.
- ბ) დაქირავებულთა სარგებლიდან წარმოქმნილი აქტივები (სსბასს 39 - „დაქირავებულთა სარგებელი“);
- გ) ფინანსური აქტივები, რომლებიც განეკუთვნება სსბასს 41-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“- მოქმედების სფეროს;
- დ) გრძელვადიანი აქტივები, რომლის ბუღალტრული აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულების მოდელის მიხედვით, სსბასს 16-ის - „საინვესტიციო ქონება“- შესაბამისად;
- ე) გრძელვადიანი აქტივები, რომლებიც შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით, სსბასს 27-ის - „სოფლის მეურნეობა“- მიხედვით;
- ვ) ხელშეკრულებების ჯგუფები, რომლებიც განეკუთვნება შესაბამისი საერთაშორისო ან ეროვნული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის მოქმედების სფეროს, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებებს ეხება.

7. წინამდებარე სტანდარტის კლასიფიკაციის, წარდგენისა და შეფასების მოთხოვნები, რომლებიც ეხება გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გრძელვადიან აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს), ასევე ეხება იმ გრძელვადიან აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს), რომელიც

³ გარდა 26-ე და 27-ე პუნქტებისა, რომლებიც მოითხოვს განსაზღვრული აქტივების შეფასებას სხვა სათანადო სსბასს-ის შესაბამისად.

კლასიფიცირებულია, როგორც გასანაწილებელი მფლობელებზე, რომლებიც მოქმედებენ მფლობელის სტატუსით (მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული).

8. ამ სტანდარტში განსაზღვრულია მოთხოვნები განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი ინფორმაციისთვის, რომელიც ეხება გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გრძელვადიან აქტივებს (ან გამსვლელ ჯგუფს), ან შეწყვეტილ ოპერაციებს. ამგვარი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფის) მიმართ არ გამოიყენება სხვა სსბასს-ის მოთხოვნები, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სხვა სსბასს მოითხოვს:
- ა) სპეციფიკური ინფორმაციის გამჟღავნებას გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფის), ან შეწყვეტილი ოპერაციების შესახებ; ან
 - ბ) განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებას გამსვლელი ჯგუფის შემადგენელი ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების შესახებ, რომელსაც არ ეხება წინამდებარე სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების მოთხოვნა და ამგვარი ინფორმაციის განმარტება უკვე მოცემული არ არის ფინანსური ანგარიშების სხვა შენიშვნებში.

სსბასს 1-ის საერთო მოთხოვნებთან, კერძოდ, 27-ე და 140-ე პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად შეიძლება აუცილებელი იყოს დამატებით სხვა ინფორმაციის გამჟღავნებაც გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფის), ან შეწყვეტილი ოპერაციების შესახებ.

განმარტებები

9. წინამდებარე სტანდარტში გამოყენებულ ტერმინებს მინიჭებული აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული არის აქტივების უმცირესი იდენტიფიცირებადი ჯგუფი, რომლის ძირითადი მიზანია კომერციული

სარგებლოს გამომუშავება, რომელიც უწყვეტი გამოყენების შედეგად წარმოქმნის ისეთი ფულადი ნაკადების შემოსვლას ერთეულში, რომლებიც მნიშვნელოვანწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფებიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.

ერთეულის კომპონენტი მოიცავს ისეთ ოპერაციებსა და ფულად ნაკადებს, რომელთა ნათლად გამოიყენა, ოპერაციულად და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, შესაძლებელია ერთეულის დანარჩენი ნაწილისაგან.

გაყიდვის დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გასვლასთან, ფინანსური დანახარჯებისა და მოგებიდან გადასახადის ხარჯის გამოკლებით.

ერთეულმა უნდა მოახდინოს აქტივის კლასიფიცირება მოკლევადიან აქტივად იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ა) მოსალოდნელია მისი რეალიზაცია, ან გამიზნულია გასაყიდად ან გამოსაყენებლად, ერთეულის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ბ) იგი, უპირველეს ყოვლისა, ინახება გასაყიდად;
- გ) მისი რეალიზაცია მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- დ) აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი (სსბასს 2-ში - „*ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება*“ - მოცემული განმარტების შესაბამისად), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

შეწყვეტილი ოპერაცია არის ერთეულის კომპონენტი, რომლის გასვლა მოხდა ერთეულიდან ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და:

- ა) წარმოადგენს ერთეულის განცალკევებულ ძირითად ოპერაციას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს;
- ბ) არის განცალკევებული ძირითადი ოპერაციის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის ერთეულიდან გასვლის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან
- გ) არის კონკრეტულად შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი კონტროლირებული ერთეული.

გამსვლელი ჯგუფი არის აქტივების ჯგუფი, რომლის დათმობა უნდა მოხდეს გაყიდვის ან სხვა გზით, ერთად, როგორც ჯგუფის, ერთი გარიგებით და ამ აქტივებთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომელთა გადაცემა მოხდება ამ გარიგების მეშვეობით. გამსვლელ ჯგუფში შევა საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანების დროს შეძენილი გუდვილიც, თუ ჯგუფი არის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, რომელსაც სსბასს 26-ის - „ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება“ - 90ა - 90თ პუნქტების მიხედვით მიეკუთვნა გუდვილი, ან ოპერაცია, ამგვარი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფარგლებში.

შესყიდვის მყარი ვალდებულება არის შეთანხმება დამოუკიდებელ მხარეებს შორის, რომელიც სავალდებულოა ორივე მხარისათვის და, როგორც წესი, იურიდიული ძალის მქონეა და (ა) განსაზღვრავს ყველა მნიშვნელოვან პირობას, ფასისა და გარიგების ვადების ჩათვლით; (ბ) მოიცავს შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საჯარიმო სანქციებს, რაც გარიგების შესრულებას მაღალი ალბათობით მოსალოდნელს ხდის.

მაღალი ალბათობით მოსალოდნელი ნიშნავს მოსალოდნელზე გაცილებით უფრო შესაძლებელს.

გრძელვადიანი აქტივი არის აქტივი, რომელიც არ პასუხობს მოკლევადიანი აქტივის განმარტებას.

მოსალოდნელი ნიშნავს უფრო შესაძლოს, ვიდრე არა.

აღდგენითი ღირებულება არის უდიდესი გასვლის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის.

სხვა სსბასს-ებში განმარტებული ტერმინები ამ სტანდარტში გამოიყენება იმავე მნიშვნელობით, როგორც მოცემულია სხვა სტანდარტებში და ცალკე გამოქვეყნებულ - ტერმინთა განმარტებების გლოსარში.

10. ტერმინი „სამართლიანი ღირებულება“ წინამდებარე სტანდარტში გამოყენებულია იმავე მნიშვნელობით, როგორც ფასს 13-ში „სამართლიანი ღირებულება“.

გრძელვადიანი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) კლასიფიკაცია, როგორც გასაყიდად გამიზნული ან მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული

11. ერთეული გრძელვადიან აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს) მიანიჭებს გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაციას, თუ მისი საბალანსო ღირებულება პირითადად ანაზღაურდება გაყიდვის გარიგებით და არა მისი გამოყენების გაგრძელებით.
12. ამისათვის, შესაძლებელი უნდა იყოს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) დაუყოვნებელი გაყიდვა არსებულ მდგომარეობაში, მხოლოდ ასეთი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) გაყიდვის ჩვეულებრივი პირობებით და მისი გაყიდვა დიდი ალბათობით მოსალოდნელი უნდა იყოს.
13. იმისათვის, რომ გაყიდვა მაღალი ალბათობით იყოს მოსალოდნელი, ხელმძღვანელობის შესაბამისი დონე აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის გეგმას მხარს უნდა უჭერდეს და შემუშავებული უნდა იყოს მყიდველის მოძებნისა და გეგმის ბოლომდე მიყვანის აქტიური პროგრამა. ამასთან, უნდა მოხდეს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) აქტიურ გაყიდვაზე მიმართული მარკეტინგი, იმ ფასად, რომელიც შეესაბამება მის მიმდინარე სამართლიან ღირებულებას. გარდა ამისა, ამ გაყიდვის აღიარება დასრულებულ გაყიდვად შესაძლებელი უნდა იყოს კლასიფიცირების დღიდან ერთი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც დაშვებულია მე-15 პუნქტში, ხოლო გეგმის

დასრულებისათვის საჭირო ღონისძიებები იმის დასტურს უნდა იძლეოდეს, რომ გეგმის მნიშვნელოვანი ცვლილება ან გეგმის გაუქმება მოსალოდნელი არ არის. მფლობელთა მიერ ამ გეგმის დამტკიცების ალბათობა⁴ (თუ მოითხოვება მოცემული იურისდიქციით) უნდა განიხილებოდეს ხელმძღვანელობის მიერ გასაკეთებელი იმ შეფასების ნაწილად, არის თუ არა გაყიდვა მაღალი ალბათობით მოსალოდნელი.

14. თუ ერთეულის გაყიდვის გეგმა ითვალისწინებს კონტროლირებულ ერთეულზე კონტროლის დაკარგვას, მან კონტროლირებული ერთეულის ყველა აქტივსა და ვალდებულებას უნდა მიაწიოს გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაცია, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება 11 - 13 პუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმები, იმის მიუხედავად, ერთეული შეინარჩუნებს თუ არა არამაკონტროლებელ (ანუ უმცირესობის) წილს ყოფილ კონტროლირებულ ერთეულში გაყიდვის შემდეგ.
15. მოვლენებმა ან გარემოებებმა შესაძლოა განაპირობოს გაყიდვის პერიოდის ერთ წელზე მეტხანს გაგრძელება. გაყიდვის დასრულებისათვის საჭირო პერიოდის გაგრძელება ხელს არ უშლის აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებას, თუ დაგვიანება გამოწვეული იყო ისეთი მოვლენებით ან გარემოებებით, რომლებიც ერთეულის კონტროლის ფარგლებს სცილდებოდა და არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ ერთეული კვლავაც მხარს უჭერს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის გეგმას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დანართ „ა“-ში მოცემული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.
16. გაყიდვის გარიგება მოიცავს ერთი გრძელვადიანი აქტივის მეორე გრძელვადიან აქტივზე გაცვლას, როდესაც გაცვლას სსბასს-17-ის - „ძირითადი აქტივები“- მიხედვით კომერციული შინაარსი აქვს.
17. როდესაც ერთეული იძენს გრძელვადიან აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს) კონკრეტულად ერთეულიდან შემდგომი გასვლის მიზნით, გრძელვადიან აქტივს შეძენის დღესვე მხოლოდ მაშინ უნდა მიენიჭოს კლასიფიკაცია - გასაყიდად გამიზნული, თუ მე-13 პუნქტში მოცემული ერთი წლის პირობა შესრულებულია (მე-15 პუნქტით დაშვებული

⁴ საჯარო სექტორში, აქტივების გასაყიდად მარეგულირებელი ორგანოს თანხმობის მოპოვების საჭიროება ჩვეულებრივი მოვლენაა.

შემთხვევების გარდა) და მაღალი ალბათობით მოსალოდნელია, რომ მე-12 და მე-13 პუნქტებში მოცემული სხვა კრიტერიუმები, რომლებიც დაკმაყოფილებული არ არის იმ დღეს, დაკმაყოფილება შეძენის მომენტიდან უმოკლეს ვადაში (ჩვეულებრივ სამ თვეში).

18. თუ მე-12 და მე-13 პუნქტებში მოცემული კრიტერიუმები დაკმაყოფილდა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ, ერთეულმა ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დროს არ უნდა მოახდინოს გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) კლასიფიცირება, როგორც გასაყიდად გამიზნული. თუმცა, როდესაც ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოხდება საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე, ერთეული 51(ა), (ბ) და (დ) პუნქტში განსაზღვრულ ინფორმაციას გაამჟღავნებს შენიშვნების სახით.
19. გრძელვადიანი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) მაშინ კლასიფიცირდება როგორც მფლობელებზე გასანაწილებელი, როდესაც ერთეული იღებს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) მფლობელებზე განაწილების ვალდებულებას. ასეთ შემთხვევაში, აქტივები ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაუყოვნებლივ განაწილებისთვის მის არსებულ მდგომარეობაში და განაწილება მაღალი ალბათობით უნდა იყოს მოსალოდნელი. განაწილება მაღალი ალბათობით არის მოსალოდნელი, თუ განაწილების განსახორციელებლად საწყისი ნაბიჯები გადადგმულია და განაწილების დამთავრება მოსალოდნელია კლასიფიკაციის მინიჭების თარიღიდან ერთი წლის ფარგლებში. განაწილების განსახორციელებლად საჭირო ქმედებები იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მოსალოდნელი არ არის მნიშვნელოვანი ცვლილებები განაწილებაში, ან განაწილების გაუქმება. მფლობელთა მიერ განაწილების დამტკიცების ალბათობა (თუ ეს მოითხოვება მოცემულ იურისდიქციაში) გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმის დადგენისას, განაწილება არის თუ არა მოსალოდნელი მაღალი ალბათობით.

გასაუქმებელი გრძელვადიანი აქტივები

20. ერთეულმა არ უნდა მოახდინოს გასაუქმებელი გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) კლასიფიცირება, როგორც გასაყიდად გამიზნული. ამის მიზნია ის, რომ მისი საბალანსო ღირებულების ამოღება, უმთავრესად, გრძელვადიანი მოხმარებიდან იქნება შესაძლებელი. თუმცა, თუ გასაუქმებელი გამსვლელი ჯგუფი 41(ა) - (გ)

პუნქტის კრიტერიუმებს პასუხობს, ერთეულმა შედეგები და გამსვლელი ჯგუფის ფულადი ნაკადები უნდა წარადგინოს, როგორც შეწყვეტილი ოპერაციები 42-ე და 43-ე პუნქტების მიხედვით, იმ თარიღიდან, როდესაც მისი გამოყენება შეწყდა. გასაუქმებელი გრძელვადიანი აქტივები (ან გამსვლელი ჯგუფები) მოიცავს გრძელვადიან აქტივებს (ან გამსვლელ ჯგუფებს), რომელიც გამოყენებული იქნება მათი ეკონომიკური მომსახურების ვადის ბოლომდე და გრძელვადიან აქტივებს (ან გამსვლელ ჯგუფებს), რომელიც დაიხურება და არ გაიყიდება.

21. ისეთი გრძელვადიანი აქტივები, რომლებიც დროებით იყო ამოღებული გამოყენებიდან, ერთეულმა არ უნდა აღრიცხოს როგორც გაუქმებული.

გრძელვადიანი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) შეფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული

გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) შეფასება

22. ერთეულმა გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) უნდა შეაფასოს მის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.
23. ერთეულმა გრძელვადიანი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი), რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც მფლობელებზე გასანაწილებელი, უნდა შეაფასოს მის საბალანსო ღირებულებასა და განაწილებისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.⁵
24. თუ ახლად შეძენილი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) პასუხობს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს (იხ. პუნქტი 17), 22-ე პუნქტის გამოყენება გამოიწვევს თავდაპირველი აღიარების დროს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) შეფასებას უმცირესი ღირებულებით, მის საბალანსო ღირებულებასა (რომელიც ექნებოდა,

⁵ განაწილებისთვის საჭირო დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული აქტივის განაწილებასთან, ფინანსური დანახარჯებისა და მოგების გადასახადის ხარჯის გამოკლებით.

თუ ასეთი კლასიფიცირება არ მოხდებოდა (მაგალითად, თვითღირებულება) და სამართლიან ღირებულებას (გაყიდვის დანახარჯების გამოკლების შემდეგ) შორის. ამგვარად, თუ აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) შემენილი იყო როგორც საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანების ნაწილი (იხ. სსბასს 40, *საჯარო სექტორის გაერთიანებები*), იგი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით. თუ აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) შემენილი იყო როგორც საჯარო სექტორის ერთეულთა შერწყმის ნაწილი (იხ. სსბასს 40), იგი უნდა შეფასდეს მის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

25. როდესაც გაყიდვა მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ერთეულმა გაყიდვის დანახარჯები უნდა შეაფასოს დღევანდელი ღირებულებით. ნებისმიერი ზრდა გაყიდვის დანახარჯების დღევანდელ ღირებულებაში, რომელიც გამოწვეულია დროის ფაქტორით, წარდგენილი უნდა იქნეს ნამეტში ან დეფიციტში, როგორც ფინანსური დანახარჯი.
26. უშუალოდ იმის წინ, სანამ აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) თავდაპირველად კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული, აქტივის (ან ჯგუფის ყველა აქტივისა და ვალდებულების) საბალანსო ღირებულება უნდა შეფასდეს შესაბამისი სსბასს-ის მიხედვით.
27. გამსვლელი ჯგუფის შემდგომი გადაფასებისას, იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომელიც არ შედის ამ სტანდარტის შეფასების მოთხოვნების ფარგლებში, მაგრამ შესული იყო გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებული იყო, როგორც გასაყიდად გამიზნული, ხელახლა უნდა შეფასდეს შესაბამისი სსბასს-ის მიხედვით მანამ, სანამ გამსვლელი ჯგუფის სამართლიანი ღირებულება (გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით) ხელახლა შეფასდება.

გაუფასურების ზარალისა და მისი აღდგენის აღიარება

28. ერთეულმა უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) ყოველი თავდაპირველი ან შემდგომი ჩამოწერის დროს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებამდე, იმ მოცულობით, რომელიც აღიარებული არ იყო 27-ე პუნქტის მიხედვით.

29. აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების შემდგომი ზრდის შედეგად ერთეულმა უნდა აღიაროს მოგება, მაგრამ არა უმეტეს ჯამური გაუფასურების ზარალისა, რომელიც აღიარებული იყო ან ამ სტანდარტის შესაბამისად, ან ადრე სსბასს 21-ის - „ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება“ ან სსბასს 26-ის - „ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება“ მიხედვით.
30. გამსვლელი ჯგუფის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი შემდგომი ზრდის შემთხვევაში, ერთეულმა უნდა აღიაროს მოგება, ამ სტანდარტის შეფასების მოთხოვნების ფარგლებში მყოფი გრძელვადიანი აქტივებისათვის:
- ა) იმ მოცულობით, რაც აღიარებული არ იყო 27-ე პუნქტის მიხედვით, მაგრამ
 - ბ) არა უმეტეს ჯამური გაუფასურების ზარალისა, რომელიც უკვე იყო აღიარებული ან ამ სტანდარტის მიხედვით, ან ადრე სსბასს 21-ის ან სსბასს 26-ის მიხედვით.
31. გაუფასურების ზარალი (ან შემდგომი მოგება), რომელიც აღიარებული იყო გამსვლელი ჯგუფისათვის, შეამცირებს (ან გაზრდის) ჯგუფში შემავალი იმ გრძელვადიანი აქტივის საბალანსო ღირებულებას, რომელიც წინამდებარე სტანდარტის შეფასების მოთხოვნების ფარგლებშია, სსბასს 26-ის 91(ა) და (ბ) პუნქტისა და 110-ე პუნქტის გამოყენებით.
32. მოგება ან ზარალი, რომელიც ადრე არ იყო აღიარებული გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის დღისათვის, უნდა აღიარდეს აღიარების შეწყვეტის დღეს. აღიარების შეწყვეტასთან დაკავშირებული მოთხოვნები მოცემულია:
- ა) სსბასს 17-ის 82-87-ე პუნქტებში, რომელიც ეხება ძირითად აქტივებს; და

ბ) სსბასს 31-ის - „არამატერიალური აქტივები“, 111 - 116 პუნქტებში, რომელიც ეხება არამატერიალურ აქტივებს.

33. ერთეული ცვეთას არ დაარიცხავს გრძელვადიან აქტივს, სანამ იგი კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან სანამ იგი გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გამსვლელი ჯგუფის ნაწილია. პროცენტისა და სხვა ხარჯების აღიარება, რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გამსვლელი ჯგუფის ვალდებულებებს, უნდა გაგრძელდეს.

გაყიდვის გეგმის ან მფლობელებზე განაწილების გეგმის შეცვლა

34. თუ ერთეულს აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) კლასიფიცირებული აქვს, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული, მაგრამ 12 - 15 პუნქტებში მითითებული კრიტერიუმები (გასაყიდად გამიზნული კატეგორიის), ან 19-ე პუნქტში აღწერილი კრიტერიუმები (მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული კატეგორიის) უკვე აღარ არის დაკმაყოფილებული, ერთეულმა უნდა შეწყვიტოს აქტივის (გამსვლელი ჯგუფის) კლასიფიცირება, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული (შესაბამისად). ასეთ შემთხვევაში, ერთეულმა ზემოაღნიშნული ცვლილების აღრიცხვისას, უნდა იხელმძღვანელოს 36 - 38 პუნქტებში განსაზღვრული სახელმძღვანელო მითითებებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც 35-ე პუნქტი გამოიყენება.

35. თუ ერთეული ახდენს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) რეკლასიფიკაციას „გასაყიდად გამიზნული“ კატეგორიიდან კატეგორიაში „მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული“, ან პირიქით, მან კლასიფიკაციის შეცვლა უნდა მიიჩნიოს გაყიდვის თავდაპირველი გეგმის გაგრძელებად. ერთეულმა:

ა) ამ ცვლილების აღრიცხვისას არ უნდა იხელმძღვანელოს 36 - 38 პუნქტების მითითებებით. ერთეულმა უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტის კლასიფიკაციის, წარდგენისა და შეფასების მოთხოვნები, რომლებიც ეხება გასვლის ახალ მეთოდს;

ბ) ეს გრძელვადიანი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) უნდა შეაფასოს 22-ე პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (თუ რეკლასიფიკაცია ხდება კატეგორიაში „გასაყიდად გამიზნული“, ან 23-ე პუნქტის მიხედვით (თუ რეკლასიფიკაცია ხდება კატეგორიაში „მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული“) და გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის დანახარჯებით/მფლობელებზე განაწილების დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების შემცირება ან ზრდა აღიაროს 28 - 33 პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად;

გ) არ უნდა შეცვალოს კლასიფიკაციის თარიღი მე-13 და მე-19 პუნქტების შესაბამისად. ეს მოთხოვნა ხელს არ უშლის იმ პერიოდის გახანგრძლივებას, რომელიც აუცილებელია გაყიდვის ან მფლობელებზე განაწილების ოპერაციის დასრულებისთვის, თუ დაკმაყოფილებულია მე-15 პუნქტის პირობები.

36. გრძელვადიანი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი), რომელსაც შეუწყდა კლასიფიკაცია, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული (ან გამოირიცხა გამსვლელი ჯგუფის შემადგენლობიდან, რომელიც კლასიფიცირებული იყო, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული), ერთეულმა უნდა შეაფასოს შემდეგ ორ სიდიდეს შორის უმცირესით:

ა) საბალანსო ღირებულება, სანამ აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) კლასიფიცირებული იქნებოდა, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული, რომელსაც გამოაკლდება ცვეთა, ამორტიზაცია ან გადაფასება, რომელიც აღიარებული იქნებოდა, თუ აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) კლასიფიცირებული არ იქნებოდა, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული; და

ბ) აღდგენითი ღირებულება იმ თარიღისთვის, როდესაც შემდგომში ერთეულმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ

37. ერთეულმა გრძელვადიანი აქტივის (რომელიც აღარ არის კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული) საბალანსო ღირებულების ნებისმიერი სავალდებულო კორექტირების თანხა უნდა დაუმატოს განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებულ ნამეტს ან დეფიციტს⁷ იმ პერიოდში, როდესაც 12 - 15 ან 19 პუნქტების კრიტერიუმები, შესაბამისად, აღარ არის დაკმაყოფილებული. შესაბამისად უნდა დაკორექტირდეს ყველა მომდევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოჰყვება იმ პერიოდს, როდესაც ერთეულმა განახორციელა კლასიფიკაცია, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული, თუ გამსვლელი ჯგუფი, ან გრძელვადიანი აქტივი, რომელიც აღარ კლასიფიცირდება გასაყიდად გამიზნულად, ან მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნულად არის კონტროლირებული ერთეული, ერთობლივი ოპერაცია, ერთობლივი ან მეკავშირე ერთეული ან ერთობლივ, ან მეკავშირე ერთეულში ფლობილი წილის ნაწილი. ერთეულმა კორექტირების თანხა ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში უნდა წარადგინოს იმავე სათაურით, რომელიც გამოიყენება 47-ე პუნქტის მიხედვით აღიარებული მოგების ან ზარალის წარსადგენად, თუ ასეთი იყო.
38. თუ ერთეული ცალკეულ აქტივს ან ვალდებულებას ამოიღებს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული ჯგუფიდან, გამსვლელ ჯგუფში დარჩენილი გასაყიდი აქტივები და ვალდებულებები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეფასდება კვლავ როგორც ჯგუფი, თუ ჯგუფი დააკმაყოფილებს 12 - 15 პუნქტების კრიტერიუმებს. თუ ერთეული ცალკეულ აქტივს ან ვალდებულებას ამოიღებს გამსვლელი ჯგუფიდან,

⁶ თუ გრძელვადიანი აქტივი არის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ნაწილი, მისი აღდგენითი ღირებულება ტოლია მისი საბალანსო ღირებულების, რომლის აღიარება მოხდებოდა ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის გადანაწილების შემდეგ, სსბასს 26-ის შესაბამისად.

⁷ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი წარმოადგენს ძირითად აქტივს ან არამატერიალურ აქტივს, რომელიც გადაფასებული იყო სსბასს 17-ის ან სსბასს 31-ის შესაბამისად მანამ, სანამ მიენიჭებოდა კლასიფიკაცია გასაყიდად გამიზნული. ასეთ შემთხვევაში ცვლილება უნდა აისახოს, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა ან შემცირება.

რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული, გამსვლელ ჯგუფში დარჩენილი აქტივები და ვალდებულებები იმ შემთხვევაში შეფასდება კვლავ როგორც ჯგუფი, თუ ჯგუფი დააკმაყოფილებს მე-19 პუნქტში ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს. ამის საპირისპიროდ, ჯგუფის დარჩენილი გრძელვადიანი აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად აკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნულად (ან მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნულად) კლასიფიცირების კრიტერიუმებს, უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, მათ საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით (მფლობელებზე განაწილების დანახარჯებით) შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, ამ თარიღისთვის. 34-ე პუნქტის შესაბამისად, უნდა შეწყდეს ნებისმიერი გრძელვადიანი აქტივის კლასიფიცირება, როგორც გასაყიდად გამიზნული, რომელიც აღარ აკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს. 34-ე პუნქტის შესაბამისად, ასევე უნდა შეწყდეს ნებისმიერი გრძელვადიანი აქტივის კლასიფიცირება, როგორც მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნული, რომელიც აღარ აკმაყოფილებს მფლობელებზე გასანაწილებლად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს.

წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

39. ერთეულმა ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეწყვეტილი ოპერაციებისა და გრძელვადიანი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) გასვლის ფინანსური ეფექტის შეფასების საშუალებას მისცემს.

შეწყვეტილი ოპერაციების წარდგენა

40. ერთეულის კომპონენტი მოიცავს ისეთ ოპერაციებსა და ფულად ნაკადებს, რომელთა ნათლად გამოიჯენა, ოპერაციულად და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, შესაძლებელია ერთეულის დანარჩენი ნაწილისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთეულის კომპონენტი გამოყენების პერიოდში შესაძლოა ყოფილიყო ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი.

41. შეწყვეტილი ოპერაცია არის ერთეულის კომპონენტი, რომლის გასვლაც მოხდა ერთეულიდან ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და:

- ა) წარმოადგენს ერთეულის განცალკევებულ ძირითად ოპერაციას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს;
- ბ) არის განცალკევებული ძირითადი ოპერაციის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან
- გ) არის კონკრეტულად შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი კონტროლირებული ერთეული.

42. ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ერთიანი თანხა, რომელიც შედგება შემდეგი სიდიდეების ჯამისაგან:
 - i) შეწყვეტილი ოპერაციების შედეგად მიღებული ნამეტი ან დეფიციტი დაბეგვრის შემდეგ; და
 - ii) დაბეგვრის შემდგომი მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებით, ან შეწყვეტილი ოპერაციების შემადგენელი აქტივების ან გამსვლელი ჯგუფ(ებ)ის გასვლასთან დაკავშირებით; და
- ბ) (ა) პუნქტით განსაზღვრული ერთიანი თანხის ანალიზი, შემდეგი ელემენტების მიხედვით:

- i) შეწყვეტილი ოპერაციებიდან გამომდინარე შემოსავალი, ხარჯები და დაბეგვრამდელი ნამეტი ან დეფიციტი;
- ii) დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი, როგორც ეს მოითხოვება შესაბამისი საერთაშორისო ან ეროვნული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის მიხედვით, რომელიც მოგების გადასახადს ეხება.
- iii) მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან, ან შეწყვეტილი ოპერაციების შემადგენელი აქტივების ან გამსვლელი ჯგუფ(ებ)ის გასვლასთან დაკავშირებით;
- iv) დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი, როგორც ეს მოითხოვება შესაბამისი საერთაშორისო ან ეროვნული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის მიხედვით, რომელიც მოგების გადასახადს ეხება.

ანალიზის წარდგენა შეიძლება შენიშვნებში ან ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში. თუ ფინანსური შედეგების ანგარიშგებაშია წარდგენილი, უნდა აისახოს შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებულ ნაწილში, ანუ განგრძობითი ოპერაციებისაგან განცალკევებით. გამსვლელი ჯგუფები, რომლებიც წარმოდგენილია ახლად შეძენილი კონტროლირებული ერთეულებით და პასუხობს კრიტერიუმებს, რომლის მიხედვით მისი კლასიფიცირება შეძენისთანავე მოხდება როგორც გასაყიდად გამიზნული (იხ. მე-17 პუნქტი), ანალიზს არ საჭიროებს.

- გ) წმინდა ფულადი ნაკადები, რომელიც განეკუთვნება შეწყვეტილი ოპერაციებიდან გამომდინარე საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობას. ეს ინფორმაცია შეიძლება აისახოს ან შენიშვნებში, ან ფინანსურ ანგარიშგებაში. გამსვლელი ჯგუფები, რომელიც წარმოდგენილია ახლად შეძენილი კონტროლირებული ერთეულებით, რომლებიც პასუხობს კრიტერიუმებს, რომლის მიხედვით მისი კლასიფიცირება შეძენისთანავე მოხდება როგორც გასაყიდად გამიზნული (იხ. მე-17 პუნქტი), ამგვარი ინფორმაციის ახსნას

არ საჭიროებს.

- დ) მაკონტროლებელი ერთეულის მფლობელებზე მისაკუთვნიებული შემოსავალი, რომელიც მიიღება განგრძობითი ოპერაციებიდან და შეწყვეტილი ოპერაციებიდან. ეს ინფორმაცია შეიძლება აისახოს ან შენიშვნებში, ან უშუალოდ ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში.

43. ერთეულმა ხელახლა უნდა წარმოადგინოს 42-ე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომლებიც მოცემული იყო წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებში ისე, რომ მოიცვას საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებამდე შეწყვეტილი ყველა ოპერაცია, რომელიც შეეხება წარდგენის უკანასკნელ პერიოდს.

44. მიმდინარე პერიოდში მომხდარი ცვლილებები იმ თანხებში, რომელიც ადრე წარდგენილი იყო შეწყვეტილ ოპერაციებში და პირდაპირ კავშირშია შეწყვეტილი ოპერაციის გასვლასთან წინა პერიოდში, ცალკე უნდა იყოს კლასიფიცირებული შეწყვეტილ ოპერაციებში. უნდა განიმარტოს ცვლილებების ბუნება და მოცულობა. გარემოებების მაგალითები, როდესაც შესაძლებელია ასეთი ცვლილებების წარმოქმნა:

- ა) შეწყვეტილი ოპერაციის გადაცემის გარიგების პირობებიდან წარმოშობილი გაურკვევლობების გადაწყვეტა, როგორიცაა შესყიდვის ფასის ცვლილებებისა და მყიდველთან ზარალის კომპენსირების საკითხების გადაწყვეტა.
- ბ) გაურკვევლობების გადაწყვეტა, რომელიც გამომდინარეობს და პირდაპირ დაკავშირებულია კომპონენტის ოპერაციებთან მის გადაცემამდე, როგორიცაა გარემოს დაცვისა და პროდუქციის გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომელიც გამყიდველის პასუხისმგებლობის ქვეშ რჩება.
- გ) დაქირავებულთა სარგებლის პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულება, იმ პირობით, რომ ეს აღსრულება უშუალოდ დაკავშირებული იყო გადაცემის გარიგებასთან.

45. თუ ერთეული წყვეტს კომპონენტის კლასიფიცირებას, როგორც გასაყიდად გამიზნული, შეიცვლება ადრე 42 - 44 პუნქტების მიხედვით შეწყვეტილ ოპერაციებში წარდგენილი კომპონენტის ოპერაციების შედეგების კლასიფიკაცია და ჩაირთვება განგრძობითი ოპერაციებიდან წარმოქმნილ შემოსავალში, ყველა წარდგენილ პერიოდში. წინა პერიოდებში შესული თანხების შესახებ მოცემული იქნება განმარტება, რომ თანხები ხელახლა იყო წარმოდგენილი.
46. ერთეულმა, რომლის გაყიდვის გეგმა კონტროლირებულ ერთეულზე კონტროლის დაკარგვას ითვალისწინებს, უნდა გაამჟღავნოს 42 - 45 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია, როდესაც კონტროლირებული ერთეული წარმოადგენს გამსვლელ ჯგუფს, რომელიც აკმაყოფილებს შეწყვეტილი ოპერაციის განმარტებას 41-ე პუნქტის შესაბამისად.

განგრძობით ოპერაციებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი

47. გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) ხელახალი შეფასებიდან გამომდინარე, ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც არ პასუხობს შეწყვეტილი ოპერაციის განმარტებას, აისახება ნამეტში ან დეფიციტში, როგორც განგრძობითი ოპერაციების ნამეტი ან დეფიციტი.

გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივის ან გამსვლელი ჯგუფის წარდგენა

48. ერთეულმა გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივი ან გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გამსვლელი ჯგუფის აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა აქტივებისაგან განცალკევებულად უნდა წარადგინოს. სხვა ვალდებულებებისაგან განცალკევებით უნდა იყოს წარდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გამსვლელი ჯგუფის ვალდებულებებიც. არ შეიძლება ამ აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ერთიანი თანხის სახით წარდგენა. გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული აქტივებისა და ვალდებულებების

ძირითადი კატეგორიების შესახებ ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს ცალკე ან უშუალოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ან შენიშვნებში, გარდა 49-ე პუნქტით დაშვებული შემთხვევებისა. ერთეულმა ცალკე უნდა წარადგინოს ნებისმიერი მთლიანი შემოსავალი ან ხარჯი, რომელიც აღიარებული იყო წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გრძელვადიან აქტივთან (ან გამსვლელ ჯგუფთან) დაკავშირებით.

49. თუ გამსვლელი ჯგუფი არის ახლად შეძენილი კონტროლირებული ერთეული, რომელიც პასუხობს შეძენისთანავე გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს (იხ. მე-17 პუნქტი), საჭირო არ არის აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი კატეგორიების ახსნა.
50. ერთეული არ მოახდენს წინა პერიოდების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივების ან გამსვლელი ჯგუფების აქტივებისა და ვალდებულებების თანხების ხელახალ კლასიფიცირებას ან ხელახალ წარმოდგენას, უკანასკნელი პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კლასიფიკაციის ასახვის მიზნით.

დამატებითი განმარტებები

51. ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია იმ პერიოდში, რომელშიც გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირება ან გაყიდვა მოხდა:
- ა) გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) აღწერა;
 - ბ) გაყიდვის ფაქტებისა და გარემოებების, ან მოსალოდნელ გასვლაზე მიმანიშნებელი გარემოებების, აგრეთვე გასვლის მოსალოდნელი ვადებისა და ტიპის აღწერა;
 - გ) 28 - 30 პუნქტების მიხედვით აღიარებული მოგება ან ზარალი, ხოლო თუ ეს თანხები არ იქნება ცალკე წარმოდგენილი ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში, მაშინ ფინანსური შედეგების ანგარიშგების იმ პუნქტზე მითითება, რომელიც

მოიცავს ამ მოგებას ან ზარალს;

- დ) სეგმენტი, რომელშიც წარდგენილია მოცემული გრძელვადიანი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) სსბასს 18-ის - „სეგმენტის ანგარიშგება“- მიხედვით, თუ ასეთი არსებობს.

52. ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) სამართლიანი ღირებულება, თუ ეს გრძელვადიანი აქტივი (გამსვლელი ჯგუფი) შეფასებულია ისეთი საბალანსო ღირებულებით, რომელიც მის სამართლიან ღირებულებაზე არსებითად ნაკლებია.
53. თუ ერთეული იყენებს 34-ე ან 38-ე პუნქტის დებულებებს, მან იმ პერიოდში, როდესაც გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის გეგმის შეცვლის შესახებ მიღებული იყო გადაწყვეტილება, შენიშვნებში უნდა აღწეროს ის ფაქტები და გარემოებები, რამაც ეს გადაწყვეტილება გამოიწვია, ასევე ამ გადაწყვეტილების გავლენა მოცემული ან სხვა წინა წარდგენილი პერიოდის ოპერაციების შედეგებზე.

განმარტებები სამართლიანი ღირებულების შესახებ

54. ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარება, იმ აქტივებთან ან ვალდებულებებთან მიმართებით, რომელთა სამართლიანი ღირებულებების შეფასება თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოხდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, შეაფასონ ამ შეფასებების გამოსათვლელად გამოყენებული შეფასების მეთოდები და ამოსავალი ინფორმაცია.
55. 54-ე პუნქტში განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს ყველა შემდეგი ფაქტორი:
- ა) ინფორმაციის დეტალიზაციის დონე, რომელიც აუცილებელია ინფორმაციის გაჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნების

შესასრულებლად;

- ბ) რამდენად დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს თითოეულ განსხვავებულ მოთხოვნას;
- გ) ინფორმაციის აგრეგირების ან დეზაგრეგირების აუცილებელი დონე; და
- დ) სჭირდება თუ არა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დამატებითი ინფორმაცია, განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი რაოდენობრივი ინფორმაციის შესაფასებლად.

თუ წინამდებარე სტანდარტის, ან სხვა სსბასს სტანდარტების შესაბამისად მიწოდებული ინფორმაცია საკმარისი არ აღმოჩნდება 54-ე პუნქტში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს დამატებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია ამ მიზნების მისაღწევად.

56. 54-ე პუნქტში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, თითოეული კატეგორიის აქტივების ან ვალდებულებების მიხედვით, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით (მათ შორის, შეფასებები, რომლებიც ეყრდნობა სამართლიან ღირებულებას და განეკუთვნება ფასს 13-ის - „სამართლიანი ღირებულება“ - მოქმედების სფეროს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია:

- ა) სამართლიანი ღირებულების შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შეფასების მიზეზები.
- ბ) სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების შეფასებები მთლიანად (1-ელი, მე-2 ან მე-3 დონე);
- გ) სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეს განეკუთვნება - სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად

გამოყენებული შეფასების მეთოდ(ებ)ისა და ამოსავალი მონაცემების აღწერა. თუ შეიცვალა გამოყენებული შეფასების მეთოდი (მაგალითად, საბაზრო მიდგომა შეიცვალა შემოსავლების მიდგომით, ან დამატებით გამოიყენეს სხვა შეფასების მეთოდი), ერთეულმა უნდა განმარტოს, რა შეიცვალა და შეცვლის მიზეზ(ებ)ი. სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება, ერთეულმა უნდა წარმოადგინოს რაოდენობრივი ინფორმაცია, სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ. ერთეულს არ ევალება რაოდენობრივი ინფორმაციის დამუშავება სპეციალურად ინფორმაციის გამჟღავნების ზემოხსენებული მოთხოვნის შესასრულებლად, თუ მას ეს რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები არ დაუმუშავებია სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს (მაგალითად, როდესაც ერთეული წინა ოპერაციების ფასებს, ან მესამე მხარის ფასის ინფორმაციას იყენებს კორექტირების გარეშე). თუმცა, ამ პუნქტით გათვალისწინებული განმარტებითი ინფორმაციის წარმოდგენისას, ერთეულმა არ უნდა უგულებელყოს ისეთი რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის და, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ხელმისაწვდომი იქნება ერთეულისთვის.

- დ) სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება - ერთეულის მიერ გამოყენებული შეფასების პროცესის (პროცედურების) აღწერა (მათ შორის, მაგალითად, როგორ იღებს ერთეული გადაწყვეტილებებს შეფასების პოლიტიკასა და პროცედურებთან დაკავშირებით და როგორ აანალიზებს ერთეული პერიოდიდან პერიოდამდე სამართლიანი ღირებულების შეფასებებში მომხდარ ცვლილებებს).
- ე) სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის - თუ არაფინანსური აქტივის მიმდინარე გამოყენება განსხვავდება მისი მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენებისგან,

ერთეულმა უნდა განაცხადოს ამ ფაქტის შესახებ და განმარტოს, რატომ არ იყენებენ არაფინანსურ აქტივს მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენების შესაბამისად.

57. თითოეული კლასის აქტივებისა და ვალდებულებების მიხედვით, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული არ არის სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ მათი სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია განმარტებით შენიშვნებში, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს 56(ბ), 56(გ) და 56(ე) ქვეპუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია. თუმცა, ერთეულს არ ევალება 56(გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რაოდენობრივი ინფორმაციის გაჟღავნება მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ, რომლებიც გამოიყენა სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებებში. ამგვარი აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ერთეულს არ ევალება წინამდებარე სტანდარტით გათვალისწინებული სხვა განმარტებითი ინფორმაციის გაჟღავნება.

ძალაში შესვლის თარიღი და სტანდარტზე გადასვლა ძალაში შესვლის თარიღი

58. ერთეულმა წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ ერთეული ზემოაღნიშნულ ცვლილებებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული წლიური პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად უნდა გამოიყენოს სსბასს 43-ც - „იჯარა“.
59. როდესაც ერთეული დანერგავს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე სსბასს-ებს, როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 33-ში, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება*, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ძალაში შესვლის მოცემული თარიღის შემდგომ, ერთეულმა წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს იმ წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც

მოიცავს პერიოდებს, დაწყებულს სსბასს-ის დანერგვის თარიღიდან ან მის შემდეგ.

გარდამავალი დებულებები

60. მოცემული სტანდარტი გავრცელდება, პერსპექტიულად, გრძელვადიან აქტივებზე (ან გამსვლელ ჯგუფებზე), რომლებიც პასუხობს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს, ასევე ოპერაციებზე, რომლებიც პასუხობს შეწყვეტილ ოპერაციად კლასიფიცირების კრიტერიუმებს, ამ სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ. ნებისმიერ ერთეულს შეუძლია გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები ყველა გრძელვადიან აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) მიმართ, რომელიც პასუხობს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს და ოპერაციებისათვის, რომლებიც პასუხობს შეწყვეტილ ოპერაციად კლასიფიცირების კრიტერიუმებს ნებისმიერი დღიდან ამ სტანდარტის ძალაში შესვლამდე, იმ პირობით, თუ შეფასებები და სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ამ სტანდარტის გამოყენებისათვის, მოპოვებული იყო იმ დროს, როდესაც ეს კრიტერიუმები პირველად დაკმაყოფილდა.

დანართი ა

მითითებები გამოყენებაზე

წინამდებარე დანართი სსბასს 44-ის განუყოფელი ნაწილია.

გაყიდვის დასრულებისათვის საჭირო პერიოდის გახანგრძლივება (მე-15 პუნქტი)

- მგ1. როგორც მე-15 პუნქტშია მითითებული, გაყიდვის დასრულებისთვის საჭირო პერიოდის გაზრდა ხელს არ უშლის აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) კლასიფიცირებას, როგორც გასაყიდად გამიზნული, თუ

დაგვიანება გამოწვეულია გარემოებებით ან მოვლენებით, რომლებიც არ ექვემდებარება ერთეულის კონტროლს და არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ ერთეული ისევ მიჰყვება აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის გეგმას. აქედან გამომდინარე, მე-13 პუნქტში მოცემული ერთი წლის პირობიდან გამონაკლისი შეეხება შემდეგ სიტუაციებს, როდესაც ასეთი გარემოებები ან მოვლენები წარმოიშობა:

- ა) იმ დღეს, როდესაც ერთეული გადაწყვეტილებას იღებს და გეგმავს გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვას, ის რეალურად ელოდება, რომ სხვები (არა მყიდველი) დააწესებენ აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფის) გადაცემასთან დაკავშირებულ პირობებს, რაც გამოიწვევს გაყიდვის დასრულებისათვის საჭირო პერიოდის გაზრდას, და:
 - i) ამ პირობების შესრულებისათვის საჭირო ქმედება ვერ დაიწყება, სანამ მოპოვებული არ იქნება შესყიდვის მყარი ვალდებულება; და
 - ii) შესყიდვის მყარი ვალდებულების მოპოვება მაღალი ალბათობით არის მოსალოდნელი ერთი წლის განმავლობაში;
- ბ) ერთეული მოიპოვებს შესყიდვის მყარ ვალდებულებას და ამის შედეგად, მყიდველი ან სხვები მოულოდნელად დააწესებენ აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გადაცემასთან დაკავშირებულ პირობებს (რომელიც ადრე კლასიფიცირებული იყო, როგორც გასაყიდად გამიზნული), რაც გაყიდვის დასრულების პერიოდს გაზრდის და:
 - i) ამ პირობების საპასუხოდ მიღებულია დროული ზომები; და

ii) მოსალოდნელია შემაფერხებელი ფაქტორების წარმატებული გადაწყვეტა;

გ) პირველი ერთი წლის განმავლობაში წარმოიშობა გარემოებები, რომლებიც ადრე მოსალოდნელად არ იყო მიჩნეული და, ამის შედეგად, გრძელვადიანი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი), რომელიც ადრე კლასიფიცირებული იყო, როგორც გასაყიდად გამიზნული, არ გაიყიდა ამ პერიოდის დასასრულს და:

i) პირველი ერთი წლის განმავლობაში ერთეულმა ზომემა მიიღო ამ გარემოების ცვლილების საპასუხოდ;

ii) წამოწყებულია გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) აქტიურობა ბაზარზე გონივრულ ფასად გასაყიდად, შეცვლილი გარემოს გათვალისწინებით; და

iii) მე-12 და მე-13 პუნქტებში აღწერილი კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

დანართი ბ

სხვა სსბასს-ების შესწორებები

სსბასს 1-ის შესწორებები, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

ცვლილებები შევიდა 88, 102 და 107 პუნქტებში. დაემატა 153ო პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი ხაზგადასმული.

...

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

...

ინფორმაცია, რომელიც აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

88. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აუცილებელია აისახოს მინიმუმ ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლების შესაბამისი თანხები:

ა) ძირითადი აქტივები;

...

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;

ი(ა) სსბასს 44-ის - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ - შესაბამისად გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული აქტივებისა და გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში ჩართული აქტივების ჯამური თანხა;

კ) საგადასახადო და ქონების გადაცემის/ტრანსფერის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები;

...

ნ) ფინანსური ვალდებულებები (გარდა (კ), (ლ) და (მ) პუნქტებში მოცემული თანხებისა);

ნ(ა) სსბასს 44-ის შესაბამისად გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში შემავალი ვალდებულებები;

- ო) არამაკონტროლებელი წილი წარდგენილი წმინდა აქტივების/კაპიტალის შემადგენლობაში; და
- პ) მაკონტროლებელი ერთეულის მფლობელებზე მისაკუთვნებელი წმინდა აქტივები/ კაპიტალი.

...

ფინანსური შედეგების ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი ან დეფიციტი

...

ინფორმაცია, რომელიც აისახება ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში

102. ფინანსური შედეგების ანგარიშგება, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს მუხლებს, რომლებიც ასახავს მოცემული პერიოდის შესაბამის თანხებს:

- ა) შემოსავლებს, ისე რომ განცალკევებული იყოს:
- i) ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავლები;
- და
- ii) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება და ზარალი;

...

- დ) [ამოღებულია] ~~დაბეგრამდე მოგებას ან ზარალს, რომელიც აღიარდა აქტივების გაყიდვისას ან შეწყვეტილი ოპერაციებიდან გამომდინარე ვალდებულებების ანგარიშსწორებისას; და~~
- ე) ნამეტს ან დეფიციტს; და

ვ) შეწყვეტილი ოპერაციების ჯამურ, ერთიან თანხას (იხ. სსზასს 44);

...

ინფორმაცია, რომელიც აისახება ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ან განმარტებით შენიშვნებში

...

107. გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების განცალკევებული ასახვა:

- ა) მატერიალური მარაგის ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე, ან ძირითადი აქტივის ჩამოფასება აღდგენით ღირებულებამდე, ასევე ძირითადი აქტივების ადრე ჩამოფასებული თანხების აღდგენა;

...

- ე) შეწყვეტილი ოპერაციები;

- ვ) ...

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

153ო. 2022 წლის მაისში გამოცემულმა სსზასს 44-მა გამოიწვია 88, 102 და 107 პუნქტების შეცვლა. ერთეულმა აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს იმ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც მოიცავს 2025 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მის შემდგომ პერიოდებს. ნებადართულია სტანდარტის ვადამდელი გამოყენება. თუ ერთეული ზემოაღნიშნულ ცვლილებებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული წლიური პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად უნდა გამოიყენოს სსზასს 44-ც.

...

მითითებები დანერგვაზე

წინამდებარე მითითებები თან ერთვის, მაგრამ არ წარმოადგენს სსბასს 1-ის ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების საილუსტრაციო სტრუქტურა

...

საჯარო სექტორის ერთეული - სააღრიცხვო პოლიტიკის ანგარიშგება (ამონარიდი)

...

საჯარო სექტორის ერთეული - ფინანსური შედეგების ანგარიშგება 20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ფუნქციების მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციის ილუსტრირება)

(ათას ფულად ერთეულში)

	20X2	20X1
შემოსავლები		
გადასახადები	X	X
...		
სულ შემოსავლები	X	X
ხარჯები		
საზოგადოებრივი მომსახურება	(X)	(X)
...		
სულ ხარჯები	(X)	(X)
წილი მეკავშირე ერთეულების ნამეტში*	X	X

<u>პერიოდის ნამეტი/(დეფიციტი) უწყვეტი საქმიანობიდან</u>	<u>X</u>	<u>X</u>
<u>პერიოდის ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან</u>	<u>(X)</u>	<u>(X)</u>
პერიოდის ნამეტი/(დეფიციტი)	X	X

მისაკუთვნებელი:

მაკონტროლებელი ერთეულის მფლობელებზე	X	X
უმცირესობის წილზე	X	X
	X	X

* ეს ნიშნავს მეკავშირე ერთეულების ნამეტის წილს, რომელიც მიეკუთვნება მეკავშირე ერთეულების მფლობელებს, ანუ, წილს, რომელიც რჩება გადასახადების გადახდისა და მეკავშირე ერთეულების უმცირესობის წილის გამოკლების შემდეგ.

...

საჯარო სექტორის ერთეული - ფინანსური შედეგების ანგარიშგება 20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციის ილუსტრირება)
(ათას ფულად ერთეულში)

	20X2	20X1
შემოსავლები		
გადასახადები	X	X
...		
სულ შემოსავლები	X	X

ხარჯები

ხელფასები, სარგოები და დაქირავებულთა სარგებელი	(X)	(X)
...		
სულ ხარჯები	(X)	(X)

წილი მეკავშირე ერთეულების ნამეტში	X	X
-----------------------------------	---	---

<u>პერიოდის ნამეტი/(დეფიციტი) უწყვეტი საქმიანობიდან</u>	<u>(X)</u>	<u>X</u>
<u>პერიოდის ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან</u>	<u>(X)</u>	<u>(X)</u>
პერიოდის ნამეტი/(დეფიციტი)	(X)	X

მისაკუთვნებელი:	(X)	X
მაკონტროლებელი ერთეულის მფლობელებზე	(X)	X
უმცირესობის წილზე	(X)	X

...

ბასს 1-თან შედარება

სსბასს 1, ძირითადად, გამომდინარეობს ბასს 1-დან (2003) და შეიცავს ყველა ცვლილებას, რომელიც ბასს 1-ში შევიდა 2008 წლის მაისსა და 2009 წლის აპრილში გამოცემული დოკუმენტების - ფასს-ების გაუმჯობესება - შედეგად. წინამდებარე სტანდარტის თავდაპირველად გამოცემის დროს სსბასსს-ს განხილული არ ჰქონდა ფასს 5-ის - გასაყიდად

1

სსზასს 2-ის შესწორებები, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
ცვლილებები შევიდა 22-ე პუნქტში. დამატა 63ი პუნქტი. ახალი ტექსტი
ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი ხაზგადასმული.

...

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების წარდგენა

...

საოპერაციო საქმიანობა

...

22. საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადები დაკავშირებულია ერთეულის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრებთან. საოპერაციო საქმიანობის შედეგად წამოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადების მაგალითებს წარმოადგენს:

ა) ფულადი შემოსულობები გადასახადებიდან,
მოსაკრებლებიდან და ჯარიმებიდან;

...

ლ) ფულადი შემოსულობები ან გადახდები, დაკავშირებული
საქმიანობის შეწყვეტასთან შეწყვეტილ ოპერაციებთან; და

მ) ...

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

63ი. 2022 წლის მაისში გამოცემულმა სსბასს 44-მა, გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები, გამოიწვია 22-ე პუნქტის შეცვლა. ერთეულმა აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს იმ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც მოიცავს 2025 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მის შემდგომ პერიოდებს. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ ერთეული ზემოაღნიშნულ ცვლილებებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული წლიური პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად უნდა გამოიყენოს სსბასს 44-ც.

სსბასს 14-ის შესწორებები, ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

ცვლილებები შევიდა 16 და 31 პუნქტებში. დამატა 32^ზ პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი ხაზგადასმული.

...

ადიარება და შეფასება

...

დივიდენდები ან მსგავსი განაწილებები

...

16. თუ დივიდენდების ან მფლობელებზე მსგავსი განაწილებების გამოცხადება მოხდა ანგარიშგების თარიღის შემდეგ (ე.ი. ~~მოხდა დივიდენდების და მსგავსი განაწილებების გაცემის სანქცირება სათანადოდ და ერთეულს აღარ შეუძლია ამ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა~~), მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვის გაცემის თარიღამდე, ანგარიშგების თარიღისათვის მათი ვალდებულების სახით ასახვა არ ხდება, რადგან ამ დროისათვის არანაირი ვალდებულება არ არსებობს. ასეთი დივიდენდების და მსგავსი განაწილებების ასახვა უნდა მოხდეს განმარტებით შენიშვნებში სსბასს 1-ის შესაბამისად. დივიდენდებში და მსგავს განაწილებებში არ შედის კაპიტალის დაბრუნება.

...

განმარტებითი შენიშვნები

...

ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები

...

31. ქვემოთ მოყვანილია ანგარიშგების თარიღის შემდგომი

არამაკორექტირებელი მოვლენების მაგალითები, რომლებიც, როგორც წესი, განმარტებებში აისახება:

- ა) ქონების ღირებულების უჩვეულოდ მკვეთრი შემცირება, რომელიც მის სამართლიან ღირებულებას შეეხო, როდესაც ეს შემცირება არ არის დაკავშირებული ქონების მდგომარეობასთან ანგარიშგების თარიღისათვის, მაგრამ გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომლებიც ამ თარიღის შემდეგ წარმოიქმნა;

...

- დ) ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პროგრამის ან საქმიანობის შეწყვეტის გეგმის შესახებ განცხადება, აქტივების გაყიდვა ან შეწყვეტილ პროგრამასა თუ საქმიანობასთან მიმართებაში არსებული ვალდებულებების გადაწყვეტა, ისეთი შეთანხმების დადება რომელიც ავალდებულებს, გაყიდოს ასეთი აქტივები ან დაფაროს ასეთი ვალდებულებები;

- ე) აქტივების მნიშვნელოვანი შესყიდვის ან გაყიდვის ფაქტები, გასაყიდად გამიზნულ აქტივებად კლასიფიკაცია სსბასს 44-ის - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ - შესაბამისად, აქტივების სხვა გასვლები ან საჯარო სექტორის სხვა ერთეულების მიერ უმთავრესი აქტივების ექსპროპრიაცია;

- ვ) ...

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

32ზ. 2022 წლის მაისში გამოცემულმა სსბასს 44-მა გამოიწვია მე-16 და 31-ე პუნქტის შეცვლა. ერთეულმა აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს იმ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც მოიცავს 2025 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მის შემდგომ პერიოდებს. ნებადართულია

ვადამდელო გამოყენება. თუ ერთეული ზემოაღნიშნულ ცვლილებებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული წლიური პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად უნდა გამოიყენოს სსბასს 44-ც.

...

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი დაერთვის სსბასს 14-ს , მაგრამ არ წარმოადგენს მის ნაწილს.

...

სსბასს 14-ის შესწორება 2015 წლის გამოცემული დოკუმენტის - „სსბასს-ების გაუმჯობესება“ მეორე ნაწილის შესაბამისად: დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი საკითხები

დს8. როდესაც 2015 წელს გამოცემული დოკუმენტის - „სსბასს-ების გაუმჯობესება“ - მეორე ნაწილის მიხედვით მოხდა სსბასს 14-ის შესწორება, დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს, რომ სსბასს-ები გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებსა და გამსვლელ ჯგუფებთან მიმართებით არათანმიმდევრული იყო. სსბასსს-მ დაასკვნა, რომ ფასს 5 - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“, საჯარო სექტორისთვის შესაფერისი შეიძლება იყოს ყოფილიყო მხოლოდ გარკვეულ გარემოებებში, შემდეგი მიზეზების გამო:

- ა) აქტივების გაყიდვა საჯარო სექტორში შეიძლება ერთ წელიწადში ვერ დასრულდეს, რადგან სავალდებულოა შესაბამისი თანხმობების სხვადასხვა დონეზე მოპოვება. შედეგად ჩნდება გაჩნდა კითხვები ფასს 5-ში მოცემული ინფორმაციის რელევანტურობასა და თანმიმდევრულობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სსბასსს აღნიშნა, რომ ფასს 5-ის მიხედვით, გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს ცვეთა არ ერიცხება. სსბასსს-ს აფიქრებს აფიქრებდა ის საკითხი, რომ აქტივებზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცვეთის არ დარიცხვა შეიძლება შესაფერისი არ იყოს ყოფილიყო.

- ბ) საჯარო სექტორში არაერთი აქტივის გასვლა ხდება გადაცემის ან განაწილების გზით ანაზღაურების გარეშე ან ნომინალური ანაზღაურებით. რადგან ფასს 5 ეხება სამართლიანი ღირებულებით გაყიდვებს, მასში მოცემული შეფასების და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები შეიძლება არ იძლეოდეს ასეთი სახით გადაცემასთან დაკავშირებით რელევანტურ ინფორმაციას. თუმცა, ~~სსბასსს-მ აღიარებს~~ სსბასსს-მ აღიარა, რომ ფასს 5-ში მოცემული შეფასების და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები შეიძლება შესაფერისი იყოს მაშინ, როდესაც გაყიდვა სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ხდება.
- გ) საჯარო სექტორში მრავალი შეწყვეტილი ოპერაცია წარმოადგენს ისეთ ოპერაციას, რომელიც შეწყვეტამდე მომსახურებას უფასოდ ან ნომინალური ღირებულებით გასწევდა. რადგან ფასს 5 ეხება შეწყვეტილ ოპერაციებს, რომლებიც გასვლამდე ან გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებამდე იყო ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი, მასში მოცემული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები შეიძლება არ იძლეოდეს რელევანტურ ინფორმაციას საჯარო სექტორისთვის დამახასიათებელი შეწყვეტილი ოპერაციებისთვის. თუმცა, ~~სსბასსს-მ აღიარებს~~ სსბასსს-მ აღიარა, რომ ფასს 5-ში მოცემული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები შეიძლება შესაფერისი ~~იყოს~~ ყოფილიყო მაშინ, როდესაც შეწყვეტილი ოპერაციები შეწყვეტამდე წარმოადგენდნენ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებს ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ერთი ან მეტ ჯგუფს.

ვინაიდან სსბასსს-მ დაასკვნა, რომ ფასს 5-ის გამოყენება საჯარო სექტორის ერთეულებისთვის შესაფერისი იქნებოდა მხოლოდ შეზღუდულ გარემოებებში, სსბასსს დათანხმდა სსბასსს-ებიდან გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებსა და შეწყვეტილ

ოპერაციებთან დაკავშირებული საერთაშორისო ან ეროვნული სააღრიცხვო სტანდარტებზე მითითებები ამოეღო. სსბასსს-ს აფიქრებდა ის საკითხი, რომ ამ მითითების შენარჩუნებამ შეიძლება გამოიწვიოს შენარჩუნებას შეიძლება გამოეწვია ის, რომ ერთეულებმა ფასს 5-ის მოთხოვნები დაიცვან ერთეულებს ფასს 5-ის მოთხოვნები დაეცვათ იმ გარემოებებში, სადაც ეს შეიძლება არ იყოს ყოფილიყო შესაფერისი. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ სსბასს 3 - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, იძლევა მითითებებს იმ გარიგებებისთვის სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევაზე, რომლებიც სსბასს-ებში კონკრეტულად არ არის განხილული. ეს მითითება ერთეულებს მისცემს საშუალებას შემოიღონ ის სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ფასს 5-თან შესაბამისობაშია, თუ ერთეული ამას შესაფერისად მიიჩნევს.

დსშა. სსბასს 44-ის - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ - შემუშავებისას სსბასსს-მ დაასკვნა, რომ გარკვეულ გარემოებებში საჯარო სექტორის ერთეულებისთვის შესაფერისი იქნებოდა ფასს 5-ის მოთხოვნების გამოყენება. შედეგად, მოხდა ყველა შესაბამისი მითითების დამატება.

...

სსბასს 16-ის შესწორებები, საინვესტიციო ქონება

ცვლილებები შევიდა 65, 87 და 90 პუნქტებში. დამატა 101ი პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი ხაზგადასმული.

...

შეფასება აღიარების შემდეგ

...

თვითღირებულებით აღრიცხვის მოდელი

65. ერთეული, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ აირჩევს თვითღირებულებით აღრიცხვის მოდელს, საკუთარი საინვესტიციო

ქონება უნდა შეაფასოს:

- ა) სსზასს 44-ის - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ - შესაბამისად, თუ ის აკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, (ან ჩართულია გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული);
- ბ) სსზასს 43-ის - „იჯარა“ - მიხედვით, თუ მას მოიჯარე ფლობს აქტივის გამოყენების უფლების ფორმით და გამიზნული არ არის გასაყიდად სსზასს 44-ის შესაბამისად; და
- გ) ყველა სხვა შემთხვევაში - სსზასს 17-ის მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება თვითღირებულების მოდელს.⁸

...

განმარტებითი შენიშვნები

...

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხვის მოდელი

87. 86-ე პუნქტში აღწერილი განმარტებითი შენიშვნების გარდა, რომლის შესახებ ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს ერთეულმა, რომელიც იყენებს 42-ე-64-ე პუნქტებში აღწერილ სამართლიანი ღირებულებით აღრიცხვის მოდელს, დამატებით უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულების შეჯერების შესახებ, შემდეგის მითითებით:

⁸ ცვლილებები შევა 65-ე პუნქტში, ასევე დაემატება 65(ბ) და 65(გ) პუნქტები, როგორც 75-ე განსახილველი პროექტის - „იჯარა“ - ნაწილი.

- ა) მიღებები - ცალკე უნდა იქნას გამჟღავნებული ინფორმაცია ობიექტის შეძენით გამოწვეულ მიღებებზე და ცალკე აქტივის საბალანსო ღირებულებაში აღიარებული მომავალი ხარჯების კაპიტალიზაციით წარმოქმნილ მიღებებზე;

...

- გ) მთლიანი გასვლების ჯამი აქტივები, რომლებიც სსბასს 44-ის მიხედვით კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული ან ჩართულია გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული და სხვა გასვლები;

- დ) ...

...

თვითღირებულებით აღრიცხვის მოდელი

90. 86-ე პუნქტში აღწერილი დამატებითი მონაცემების გარდა, რომლის შესახებაც ინფორმაცია უნდა განმარტოს ერთეულმა, რომელიც იყენებს 65-ე პუნქტში აღწერილ თვითღირებულებით აღრიცხვის მოდელს, დამატებით უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ცვეთის დარიცხვის გამოყენებული მეთოდი;

...

- დ) საინვესტიციო ქონების საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს არსებული საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულების შეჯერება, შემდეგი ინფორმაციის მითითებით:

- i) მიღებები - ცალკე უნდა იყოს განმარტებული ინფორმაცია ობიექტის შეძენით წარმოქმნილ მიღებებზე, და ცალკე აქტივად აღიარებული მომავალი ხარჯების კაპიტალიზაციით გამოწვეულ მიღებებზე;
- ii) ზრდა, რომელიც განპირობებულია ერთეულთა გაერთიანების შედეგად შეძენით;
- iii) მთლიანი გასვლების ჯამი-აქტივები, რომლებიც სსბასს 44-ის მიხედვით კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული ან ჩართულია გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული და სხვა გასვლები;
- iv) ...

...

ძალაში შესვლის თარიღი

101ი. 2022 წლის მაისში გამოცემულმა სსბასს 44-მა გამოიწვია 65, 87 და 90 პუნქტის შეცვლა. ერთეულმა აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს იმ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც მოიცავს 2025 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მის შემდგომ პერიოდებს. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ ერთეული ზემოაღნიშნულ ცვლილებებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული წლიური პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად უნდა გამოიყენოს სსბასს 44-ც.

...

ბასს 40-თან შედარება

სსბასს 16 ძირითადად, ეფუძნება ბასს 40-ს, საინვესტიციო ქონება, (2003) და მოიცავს 2008 წლის მაისში გამოცემული ფასს-ების გაუმჯობესებების ფარგლებში ბასს 40-ის შესწორებებს. ამ სტანდარტის თავდაპირველად გამოცემის დროს, სსბასსს არ მიიჩნევდა საჭიროდ ფასს 4-ის, სადაზღვევო ხელშეკრულებები, და ფასს 5-ის, გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები, გამოყენებას საჯარო სექტორის ერთეულებისათვის; ამიტომაც, სსბასს 16 არ ~~ასახავდა~~ ასახავდა ზემოთ მოცემული ფასს-ების გამოცემასთან დაკავშირებით ბასს 40-ში შესულ ცვლილებებს. სსბასსს-მ შემდგომ, 2022 წლის მაისში, გამოაქვეყნა სსბასს 44, გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები. შესაბამისად, ფასს 5-ის გამოცემის შედეგად ბასს 40-ში შეტანილი ყველა ცვლილება ახლა ასახულია სსბასს 16-ში. სსბასს 16-სა და ბასს 40-ს შორის შემდეგი ძირითადი განსხვავებებია:

- სსბასს 16 მოითხოვს, რომ საინვესტიციო ქონება თავდაპირველად შეფასდეს თვითღირებულებით და განსაზღვრავს, რომ როდესაც აქტივი შეძენილია უფასოდ ან ნომინალური ღირებულებით, მისი თვითღირებულება არის შეძენის თარიღისათვის არსებული სამართლიანი ღირებულება. ბასს 40 მოითხოვს, რომ საინვესტიციო ქონება თავდაპირველად შეფასდეს თვითღირებულებით.

...

სსპასს 17-ის შესწორებები, ძირითადი აქტივები

ცვლილებები შევიდა 6, 71, 83ა, 88, და 94 პუნქტებში. დამატა 107ტ პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი ხაზგადასმული.

...

მოქმედების სფერო

...

6. წინამდებარე სტანდარტი არ ვრცელდება:

- ა) სოფლის მეურნეობის წარმოებასთან დაკავშირებული ბიოლოგიური აქტივებისათვის (იხ. სსპასს 27, *სოფლის მეურნეობა*). წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება ნაყოფის მომცემ კულტურებთან მიმართებით, მაგრამ არ გამოიყენება ნაყოფის მომცემი კულტურების ნაყოფის მიმართ;
- ბ) სასარგებლო წიაღისეული რესურსების მოპოვების უფლებებზე და სასარგებლო წიაღისეული რესურსების რეზერვებზე, როგორცაა: ნავთობი, ბუნებრივი გაზი და მსგავსი არაკვლავწარმოებადი რესურსები (იხ. შესაბამისი საერთაშორისო ან ეროვნული ბუღალტრული სტანდარტი, რომელიც ეხება სასარგებლო წიაღისეული რესურსების მოპოვების უფლებებს, სასარგებლო წიაღისეული რესურსების რეზერვებს და მსგავს არაკვლავწარმოებად რესურსებს); და
- გ) სსპასს 44-ის - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ - მიხედვით გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული ძირითადი აქტივებისთვის;

თუმცა, აღნიშნული სტანდარტი ვრცელდება იმ ძირითად აქტივებზე, რომლებიც გამოიყენება 6 (ა) და 6 (ბ) პუნქტებში აღწერილი აქტივების განვითარებისათვის ან ექსპლუატაციისათვის.

...

ცვეთა

...

ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი

...

71. ცვეთა აქტივს მას შემდეგ ერიცხება, როცა შესაძლებელი ხდება მისი გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი არის იმ ადგილას და ისეთ მდგომარეობაში, რომელიც აუცილებელია მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული მიზნებისა და დანიშნულების მისაღწევად. აქტივს ცვეთა მას შემდეგ აღარ ერიცხება, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა. აქტივზე ცვეთის დარიცხვა უნდა შეწყდეს ორი პერიოდიდან ერთ-ერთის უფრო ადრე დადგომის შემთხვევაში - როცა აქტივი კლასიფიცირდება გასაყიდად გამიზნულად (ან ჩართულია გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში) სსბასს 44-ის შესაბამისად და როცა შეწყდება ამ აქტივის აღიარება. ამგვარად, ცვეთის დარიცხვა არ წყდება, როდესაც აქტივი ხდება გამოყენებელი, ან აქტიური მოხმარებიდან გამოსულია, სანამ აქტივს სრულიად არ დაერიცხება ცვეთა. ამასთან, ცვეთის მეთოდების გამოყენების გათვალისწინებით, პროდუქციის გამოშვებამდე ცვეთის ხარჯი შეიძლება იყოს ნულის ტოლი.

...

აღიარების შეწყვეტა

...

- 83ა. ამასთან, ერთეული, რომელიც ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში რეგულარულად ყიდის ძირითადი აქტივების ობიექტებს, რომელსაც ფლობს იჯარით გასაცემად, ასეთი აქტივები უნდა გადაიტანოს მატერიალური მარაგების კატეგორიაში საბალანსო ღირებულებით, როდესაც შეწყდება მათი გაცემა იჯარით და ძირითადი აქტივი გადაიქცევა გასაყიდად გამიზნულად. ამგვარი აქტივების გაყიდვიდან

მიღებული შემოსავალი უნდა აღიარდეს როგორც შემოსავალი სსბასს 9-ის, შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან, შესაბამისად. სსბასს 44 არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივები, რომელსაც ერთეული ფლობს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში გაყიდვის მიზნით, გადაიტანება მარაგში.

...

განმარტებითი შენიშვნები

88. ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ძირითადი აქტივების ყოველი კლასისთვის უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მთლიანი საბალანსო ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული შეფასების საფუძველი;

...

ე) პერიოდის საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება, სადაც ნაჩვენებია იქნება:

i) მიღება;

ii) გასვლა აქტივები, რომელიც სსბასს 44-ის მიხედვით კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული ან ჩართულია გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული და სხვა გასვლები;

iii) ...

...

94. ერთეულის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეიძლება გამოადგეთ ასევე შემდეგი ინფორმაცია:

ა) დროებით გამოუყენებელი ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულება;

...

- გ) ძირითადი აქტივის საბალანსო ღირებულება, რომელიც გამოსულია აქტიური მოხმარებიდან და ~~გამიზნულია~~ გასაყიდად კლასიფიცირებული არ არის, როგორც გასაყიდად გამიზნული, სსბასს 44-ის შესაბამისად; და
- დ) ...

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

107ტ. 2022 წლის მაისში გამოცემულმა სსბასს 44-მა გამოიწვია 6, 71, 83ა, 88 და 94 პუნქტის შეცვლა. ერთეულმა აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს იმ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც მოიცავს 2025 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მის შემდგომ პერიოდებს. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ ერთეული ზემოაღნიშნულ ცვლილებებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული წლიური პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად უნდა გამოიყენოს სსბასს 44-ც.

ბასს 16-თან შედარება

სსბასს 17 უპირატესად ბასს 16 (2003)-დან, ძირითადი საშუალებები, გამომდინარეობს და მოიცავს ბასს 16-ის შესწორებებს, როგორც 2008 წლის მაისში გამოცემულ ფასს-ების გაუმჯობესებების ნაწილს. ამ სტანდარტის თავდაპირველად გამოცემისას სსბასსს-ს არ გაუთვალისწინებია საჯარო სექტორის ერთეულებზე ფასს 5-ის, გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები, გავრცელება ამიტომ, სსბასს 17-ში არ ~~არის~~ ყვე ასახული ბასს 16-ში ფასს 5-ის გამოცემის შემდეგ შესული ცვლილებები. სსბასსს-მ შემდგომ გამოაქვეყნა სსბასს 44, გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები. შესაბამისად, ფასს 5-ის გამოცემის შედეგად ბასს 16-ში შეტანილი ყველა ცვლილება ახლა ასახულია სსბასს 17-ში. სსბასს 17-სა და ბასს 16 (2003)-ს შორის ძირითადი განსხვავებები შემდეგია:

- სსბასს 17 არ მოითხოვს, ან კრძალავს კულტურული მემკვიდრეობის აქტივების აღიარებას. ერთეული, რომელიც აღიარებს კულტურული მემკვიდრეობის აქტივებს, ვალდებულია დაიცვას ამ სტანდარტის დამოკიდებულების მოთხოვნები აღიარებულ კულტურული

სსბასს 19-ის შესწორებები, ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ცვლილებები შევიდა მე-6 პუნქტში. დამატა 1115 პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი ხაზგადასმული.

...

მოქმედების სფერო

...

6. წინამდებარე სტანდარტი ვრცელდება რესტრუქტურისაციის ანარიცხებზე (შეწყვეტილი ოპერაციების ჩათვლით). თუ რესტრუქტურისაცია აკმაყოფილებს შეწყვეტილი ოპერაციის განმარტებას, შესაძლოა საჭირო იყოს დამატებითი განმარტებების გაკეთება, სსბასს 44-ის - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“- შესაბამისად, ფრაფულმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს აძლევს საშუალებას შეაფასონ რესტრუქტურისაციის

ფინანსური შედეგები.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

1116. 2022 წლის მაისში გამოცემულმა სსბასს 44-მა გამოიწვია მე-6 პუნქტის შეცვლა. ერთეულმა აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს იმ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც მოიცავს 2025 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მის შემდგომ პერიოდებს. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ ერთეული ზემოაღნიშნულ ცვლილებებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული წლიური პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად უნდა გამოიყენოს სსბასს 44-ც.

...

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი თან ერთვის, მაგრამ არ არის სსბასს 19-ის შემადგენელი ნაწილი.

სსბასს 19-ის გადახედვა სსბასს-ების 2015 წლის გაუმჯობესების II ნაწილის გამოცემის შედეგად: დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი საკითხები

დს1. როდესაც სსბასს 19-ის გადახედვა მოხდა სსბასს-ების 2015 წლის გაუმჯობესების II ნაწილის გამოცემის შედეგად, დაინტერესებულმა პირებმა აღნიშნეს, რომ სსბასს-ები არასათანადოდ ეხებოდა გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებსა და გამსვლელ ჯგუფებს. სსბასსს-მ დაასკვნა, რომ ფასს 5, გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები, შეიძლება მხოლოდ შესაბამისი გარემოებებისთვის ყოფილიყო შესაფერისი საჯარო სექტორში, შემდეგი მიზეზების გამო:

- ა) საჯარო სექტორში აქტივების გაყიდვა ~~არ შეიძლება დასრულდეს~~ შეიძლება ვერ დასრულდეს ერთი წლის განმავლობაში, საჭირო დამტკიცების დონის გამო. ეს ბაღებს აჩენდა კითხვებს ფასს 5-ის შესაბამისად მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისობისა და თანმიმდევრულობის შესახებ. კერძოდ, ~~სსპასს-მ აღნიშნავს~~ სსპასსს-მ აღნიშნა, რომ ფასს 5-ის თანახმად, გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს ცვეთა არ ერიცხება. ~~სსპასსს-ს აფიქრებს~~ აფიქრებდა ის ფაქტი, რომ აქტივები, რომელთაც ცვეთა არ ერიცხება დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შეიძლება შეუსაბამო იყოს ყოფილიყო.
- ბ) საჯარო სექტორში მრავალი აქტივის გასვლა ხდება გადაცემით ან განაწილებით, ანაზღაურების გარეშე ან ნომინალური ანაზღაურების სანაცვლოდ. ვინაიდან ფასს 5 ითვალისწინებს გაყიდვას სამართლიანი ღირებულებით, შეფასების და გამჟღავნების მოთხოვნებმა შეიძლება არ მოგვეცეს შესაბამისი ინფორმაცია ამ ტრანსფერებისთვის. ამასთან, ~~სსპასსს-მ აღნიშნავს~~ სსპასსს-მ აღიარა, რომ ფასს 5-ში შეფასებისა და გამჟღავნების მოთხოვნები შეიძლება მიზანშეწონილი იყოს მაშინ, როდესაც გაყიდვები განზრახულია განხორციელდეს სამართლიანი ღირებულებით.
- გ) საჯარო სექტორში შეწყვეტილი მრავალი ოპერაცია წარმოადგენს ისეთ ოპერაციას, რომელიც ადრე მომსახურებას გასწევდა უფასოდ ან ნომინალური ღირებულებით. ვინაიდან, ფასს 5 ითვალისწინებს შეწყვეტილ ოპერაციებს, რომლებიც გასვლამდე ან გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებამდე წარმოადგენდნენ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებს ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფს, გამჟღავნების ~~მოთხოვნებმა~~ მოთხოვნები შეიძლება არ ~~უზრუნველყოფს~~ უზრუნველყოფდეს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ~~მიწოდებას~~ საჯარო სექტორის შეწყვეტილი ოპერაციების შესახებ. ამასთან, ~~სსპასსს-მ აღნიშნავს~~ სსპასსს-მ აღიარა, რომ ფასს 5-ში გამჟღავნების მოთხოვნები შეიძლება

მიზანშეწონილი ~~ყოფილიყო~~ ყოფილიყო მაშინ, როდესაც შეწყვეტილი ოპერაციები ადრე წარმოადგენდა ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებს ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთ ან რამდენიმე ჯგუფს.

იმის გამო, რომ სსბასსს-მ დაასკვნა, რომ ფასს 5 საჯარო სექტორში შესაბამისი იქნებოდა მხოლოდ შეზღუდულ გარემოებებში, სსბასსს შეთანხმდა, რომ სსბასსს-ში მოხსენიებული მითითება საერთაშორისო ან ეროვნულ სააღრიცხვო სტანდარტებზე, რომლებიც ეხება გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებსა და შეწყვეტილ ოპერაციებს, ამოეღო. სსბასსს-ს აფიქრებდა ის ფაქტი, რომ ამ მითითების შენარჩუნებას შეიძლება ერთეულებში გამოეწვია ის, რომ ერთეულებს გამოეყენებიათ ფასს 5-ის მოთხოვნები იმ გარემოებებში, როდესაც ეს შეიძლება არ ყოფილიყო მიზანშეწონილი. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ სსბასსს 3, *სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*, იძლევა მითითებებს სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის შესახებ იმ ოპერაციების შესახებ, რომლებიც კონკრეტულად არ არის მითითებული სსბასსს-ებში. აღნიშნული მითითებები საშუალებას მისცემს ერთეულებს შეარჩიონ სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ფასს 5-ს, სადაც ერთეული მიიჩნევა, რომ ეს მიზანშეწონილია.

დს1ა. სსბასსს 44-ის - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ - შემუშავებისას, სსბასსსს-მ დაასკვნა, რომ გარკვეულ გარემოებებში საჯარო სექტორის ერთეულებისთვის შესაფერისი იქნებოდა ფასს 5-ის მოთხოვნების გამოყენება. შედეგად მოხდა ყველა შესაბამისი მითითების დამატება.

...

სსბასსს 21-ის შესწორებები, ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება

ცვლილებები შევიდა 2, 8 და 27 (დაემატა სქოლიო) პუნქტებში. დაემატა 82ლ პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი ხაზგადასმული.

...

მოქმედების სფერო

2. ერთეულმა, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდის გამოყენებით ახდენს ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას, ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურების ბუღალტრული აღრიცხვისას უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტი, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილისა:

ა) მატერიალური მარაგები (იხ. სსბასს 12, *მატერიალური მარაგები*);

...

დ) საინვესტიციო ქონება, რომლის შეფასებაც სამართლიანი ღირებულების მოდელის გამოყენებით ხდება (იხ. სსბასს 16 - *საინვესტიციო ქონება*); **აა**

ე) [ამოღებულია]

ვ) [ამოღებულია]

ვ(ა) სსბასს 44 - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ - მიხედვით, გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები (გამსვლელი ჯგუფები); და

ზ) სხვა აქტივები, რომელთა გაუფასურებასთან დაკავშირებული ბუღალტრული მოთხოვნები განსაზღვრულია სხვა სსბასს-ებში.

...

8. წინამდებარე სტანდარტი არ ვრცელდება მატერიალურ მარაგებზე, **აა** სამშენებლო ხელშეკრულებების შედეგად მიღებულ აქტივებზე, ან გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ აქტივებზე (ან აქტივებზე, რომლებიც შეტანილია გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში). ვინაიდან ამ აქტივების აღიარებასა და შეფასებასთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნები

განსაზღვრულია უკვე არსებულ სსბასს-ებში.

...

შესაძლო გაუფასურებული აქტივის იდენტიფიცირება

...

27. აქტივის შესაძლო გაუფასურების მაჩვენებლების არსებობის დადგენისას, ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი მაჩვენებლები მაინც:

ინფორმაციის გარე წყაროები

- ა) აქტივის მიერ მოწოდებული მომსახურების მოთხოვნის ან საჭიროების სრული ან თითქმის სრული შეწყვეტა;
- ბ) მოცემულ პერიოდში მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ცვლილებები მოხდა, ან ახლო მომავალში მოხდება ცვლილებები იმ ტექნოლოგიურ, სამართლებრივ ან პოლიტიკურ გარემოში, სადაც ეს ერთეული ფუნქციონირებს და უარყოფით გავლენას ახდენს ერთეულზე;

ინფორმაციის შიდა წყაროები

- გ) არსებობს აქტივის ფიზიკური დაზიანების მტკიცებულება;
- დ) მოცემულ პერიოდში მოხდა, ან ახლო მომავალში მოხდება მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ცვლილებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ერთეულსა და აქტივის მიმდინარე ან შემდგომ გამოყენებაზე. აღნიშნულ ცვლილებებს განეკუთვნება აქტივის უმოქმედობა, იმ საქმიანობის შეწყვეტის ან რესტრუქტურისაციის გეგმები, რომელსაც მიეკუთვნება აქტივი და მოსალოდნელ თარიღზე ადრე აქტივის ერთეულიდან გასვლის გეგმა და სასარგებლო მომსახურების ვადის ხელახალი შეფასების შედეგად, განუსაზღვრელი ვადის მქონე აქტივის

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე
აქტივად შეფასება;¹

ე) ...

...

1 როგორც კი აქტივი დააკმაყოფილებს კრიტერიუმებს, რათა აისახოს როგორც გასაყიდად გამოზნული (ან ჩაირთოს გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამოზნული), ის გამოირიცხება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროდან და აღირიცხება სსბასს 44-ის - „გასაყიდად გამოზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ - შესაბამისად.

ძალაში შესვლის თარიღი

...

82ლ. 2022 წლის მაისში გამოცემულმა სსბასს 44-მა გამოიწვია 2, 8 და 27 პუნქტების შეცვლა. ერთეულმა აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს იმ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც მოიცავს 2025 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მის შემდგომ პერიოდებს. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ ერთეული ზემოაღნიშნულ ცვლილებებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული წლიური პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად უნდა გამოიყენოს სსბასს 44-ც.

ბასს 36-თან შედარება (2004)

სსბასს 21, ძირითადად, ეფუძნება ბასს 36-ს (2004). სსბასს 21-სა და ბასს 36-ს (2004) შორის შემდეგი ძირითადი განსხვავებებია:

- სსბასს 21 ეხება საჯარო სექტორის ერთეულების ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურებას, ხოლო ბასს 36 - მოგებაზე ორიენტირებული ერთეულების ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურებას. საჯარო სექტორის ერთეულების ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება განსაზღვრულია სსბასს 26-ით.

- ...

- ბასს 36-ის მოქმედების სფერო არ ვრცელდება აქტივების გარკვეულ

სსზასს 26-ის შესწორებები, ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება

ცვლილებები შევიდა 2, 8 და 25 (დაემატა სქოლიო) პუნქტებში. დაემატა 1265 პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი ხაზგადასმული.

...

მოქმედების სფერო

2. ერთეულმა, რომელიც ამზადებს და წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურების ბუღალტრული აღრიცხვისას, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილისა:

ა) მატერიალური მარაგების (იხ. სსბასს 12, *მატერიალური მარაგები*);

...

შეწყვეტილი ოპერაციები“ - დაკავშირებით. წინამდებარე სტანდარტი ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ ფასს 5-ს - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ (2017 წლის მარტამდე ცვლილებების ჩათვლით). დასკვნის საფუძველში განხილულია მხოლოდ ის სფეროები, სადაც სსბასს 44 განსხვავდება ფასს 5-ის მოთხოვნებისგან.

წინარე ინფორმაცია

- დს2. ფასს 5 გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ 2004 წლის მარტში. მისი მიზანია განსაზღვროს გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის, აგრეთვე შეწყვეტილი ოპერაციების წარდგენისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების საკითხები. წინამდებარე სტანდარტის გამოცემამდე, სსბასს-ები არ მოიცავდა გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებულ ეკვივალენტურ მოთხოვნებს.
- დს3. სსბასსს-ის 2019–2023 წლების „სტრატეგიისა და სამუშაო გეგმის“ ფარგლებში დაიწყო პროექტი ისეთი სსბასს-ის შესამუშავებლად, რომელიც ფასს 5-თან იქნებოდა შესაბამისობაში, როგორც „ბ“ თემატიკის – „ფასს-ებთან შესაბამისობის შენარჩუნება“ - ნაწილი, რის შედეგადაც წინამდებარე სტანდარტი შეიქმნა. სსბასსს-მ დაამტკიცა ამ სტანდარტის „პროექტის ზოგადი გეგმა“ საბჭოს 2020 წლის ივნისის შეხვედრაზე.
- დს4. სსბასსს-მ განიხილა, უნდა განსხვავდებოდეს თუ არა ამ სტანდარტის დასახელება ფასს 5-ის დასახელებისგან, მაგრამ გადაწყვიტა, რომ საჯარო სექტორში ამის საჭიროება არ არსებობდა.

მოქმედების სფერო

- დს5. სსბასსს-მ განიხილა, უნდა შესულიყო თუ არა წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროში ის აქტივები, რომლებიც ერთეულის საოპერაციო მოთხოვნების ნამეტშია (ანუ ამჟამად ერთეულს საოპერაციო მიზნებისთვის ეს აქტივები არ სჭირდება), თუმცა ჯერ არ არის მიღებული გადაწყვეტილება მათი მომავლის შესახებ (ანუ მოხდეს მათი გაყიდვა, გადაცემა თუ თავიდან მოშორება). სსბასსს-მ ასევე

განიხილა, უნდა შეეტანათ თუ არა ამ სტანდარტის მოქმედების სფეროში ის გრძელვადიანი აქტივები, რომლებიც გამიზნულია არა გასაყიდად, არამედ საჯარო სექტორის სხვა ერთეულებზე გადასაცემად.

დს6. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ ეს პროექტი ფასს-ებთან შესაბამისობის პროექტია. ფასს 5 კი გამიზნულია მხოლოდ იმ გრძელვადიანი აქტივებისთვის, რომლებიც უნდა გაიყიდოს. გრძელვადიანი აქტივები გასაყიდად გამიზნულად რომ კლასიფიცირდეს, მათ სპეციფიკური კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილონ. საზოგადოებასთან კონსულტაციისა და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების გათვალისწინებით, საჯარო სექტორის ერთეულებიდან აქტივების გასვლას შეიძლება ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდეს. სსბასსს-მ გადაწყვიტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი აქტივები შესაძლოა ამ გახანგრძლივებული პერიოდის განმავლობაში საოპერაციო საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნისთვის საჭირო არ იყოს ანუ ნამეტში იყოს, ისინი შეიძლება არ პასუხობდნენ გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება საჭირო კონსულტაციისა და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობა. სანამ კრიტერიუმები არ დაკმაყოფილდება, ასეთი აქტივები, ასევე აქტივები, რომლებიც საჯარო სექტორის სხვა ერთეულებზე გადასაცემად არის გამიზნული, ამ სტანდარტის მოქმედების სფეროში არ იქნება და სხვა შესაბამისი სსბასსს-ის მოთხოვნების შესაბამისად უნდა აღირიცხოს.

დს7. სსბასსს-მ ასევე განიხილა, უნდა დაემატებინათ თუ არა ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა სსბასს 17-ის - „*ძირითადი აქტივები*“ - და სსბასს 31-ისთვის - „*არამატერიალური აქტივები*“, ნამეტში არსებული გრძელვადიანი აქტივების ან ისეთი გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულების შესახებ, რომლებიც საჯარო სექტორის სხვა ერთეულებს უნდა გადაეცეს. სსბასსს-მ გადაწყვიტა, რომ ვინაიდან ეს ოპერაციები სცდება სსბასს 44-ის მოქმედების სფეროს (როგორც აღინიშნა ზემოთ დსნ პუნქტში) და არ წარმოადგენს ამ სტანდარტიდან გამომდინარე შემდგომ შესწორებებს, ასეთი განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნის სსბასს 44-ში შეტანა მიზანშეწონილი არ არის. სსბასსს-მ ასევე აღნიშნა, რომ სსბასს 17 იძლევა რეკომენდაციას განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნდეს ინფორმაცია დროებით გამოუყენებელი ძირითადი აქტივების და აქტიური მოხმარებიდან გამოსული ძირითადი აქტივების შესახებ, რომლებიც სსბასს 44-ის მოქმედების სფეროს არ განეკუთვნება.

განმარტებები

დს8. სსბასსს-მ, სსბასსს-ების ტერმინოლოგიის ერთიანობის შესანარჩუნებლად, გადაწყვიტა „ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის“ ფასს 5-ში მოცემული განმარტება სსბასსს 26-ში - „*ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება*“ - მოცემული განმარტებით ჩაენაცვლებინა.

შეფასება

დს9. სსბასსსს-მ განიხილა, არსებობდა თუ არა საჯარო სექტორში რაიმე მიზეზი იმისთვის, რომ საჭირო ყოფილიყო ფასს 5-ის შეფასების მოთხოვნებიდან გადახვევა. ეს მოთხოვნები გულისხმობს, რომ გასაყიდად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები უნდა შეფასდეს საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიანი ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. სსბასსსს-მ განიხილა, ხომ არ უნდა შეფასებულიყო გასაყიდად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები მხოლოდ სამართლიანი ღირებულებით, რადგან ასეთი აქტივების ფლობის მიზანი მისი ფინანსური შესაძლებლობებია. აღინიშნა, რომ როდესაც საჯარო სექტორის ერთეულების აქტივები, რომლებიც არ წარმოქმნიან ფულად სახსრებს და მათ ფლობენ საოპერაციო მიზნებისთვის, გასაყიდად გამიზნული გახდება, ამ აქტივების ფლობის მიზანი საოპერაციოდან ფინანსური მიზნით შეიცვლება და ამ შემთხვევაში სამართლიანი ღირებულება იქნება ყველაზე შესაფერისი ღირებულება.

დს10. თუმცა, სსბასსსს-მ აღნიშნა, რომ იმ გარემოებებში, როდესაც აქტივები ფასდება ისტორიული ღირებულების მოდელის გამოყენებით და საბალანსო ღირებულება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიანი ღირებულებაზე დაბალია, ერთეულს დასჭირდება აღიაროს ღირებულების ზრდა ან როგორც შემოსავალი, ან როგორც გადაფასებასთან დაკავშირებული მოგება. სსბასსსს-მ დაასკვნა, რომ ასეთი ღირებულების ზრდა არ აკმაყოფილებდა შემოსავლის აღიარების კრიტერიუმებს და არც გადაფასებასთან დაკავშირებულ მოგებად აღიარება იყო მიზანშეწონილი ისტორიული ღირებულების მოდელის მიხედვით. უფრო მეტიც, ეს სიტუაცია არ იქნებოდა მხოლოდ საჯარო სექტორისთვის დამახასიათებელი და, შესაბამისად, არ არსებობდა მიზეზი, რომ ამ სტანდარტში ფასს 5-ის შეფასების მოთხოვნებიდან

გადახვევა მომხდარიყო.

- დს11. სსბასსს-მ ასევე განიხილა, უნდა მომხდარიყო თუ არა ფასს 5-ის შეფასების მოთხოვნების ადაპტირება ისე, რომ ის გრძელვადიანი აქტივები, რომლებიც გამიზნულია გასაყიდად ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე (პოლიტიკიდან გამომდინარე) სამართლიანი ღირებულებისგან განსხვავებული ღირებულებით, შეფასდეს საბალანსო ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის უმცირესი ღირებულებით. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ კერძო სექტორის საწარმოებიც ყოდიან აქტივებს სამართლიანი ღირებულებისგან განსხვავებული ღირებულებით, ამიტომ საჯარო სექტორში არ არსებობს მიზეზი, რომ ფასს 5-ის მოთხოვნებიდან გადახვევა მოხდეს.
- დს12. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ ფასს 5-ის თანახმად, საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს, უნდა შეფასდეს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით. თუმცა, საჯარო სექტორის ერთეულების გაერთიანებისას, აქტივების მიღება შეიძლება მოხდეს შეძენის ან შერწყმის გზით. საჯარო სექტორის ერთეულების გაერთიანებისას მიღებული აქტივები ფასდება შეძენისას არსებული სამართლიანი ღირებულებით; აქედან გამომდინარე, თუ ისინი დააკმაყოფილებენ გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს, ისინი შეფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით. თუმცა, საჯარო სექტორის ერთეულების შერწყმისას მიღებული აქტივები ფასდება საბალანსო ღირებულებით. ფასს 5-ის მოთხოვნების თანახმად, თუ ეს აქტივები დააკმაყოფილებდნენ გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს, ისინი შეფასდებოდნენ გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით და შესაბამისად, შეიძლება ღირებულების ზრდა მომხდარიყო. ამიტომ, სსბასსს-მ ცვლილებები შეიტანა იმ მოთხოვნებში, რომლებიც ეხება საჯარო სექტორის ერთეულების შერწყმის გზით მიღებულ აქტივებს, რომლებიც აკმაყოფილებენ გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს: ისინი უნდა შეფასდეს საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

მინიშნება ფასს 13-ზე, სამართლიანი ღირებულება

დს13. სსბასსს-მ გადაწყვიტა მინიშნებები გაეკეთებინა ფასს 13-ზე, სამართლიანი ღირებულება, საჭიროებისამებრ, და არა ისეთ რომელიმე სათანადო ეროვნულ ან საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტზე, რომლებიც შეფასების საკითხებს ეხება. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, სსბასსს-მ აღნიშნა, რომ ეს მინიშნებები განახლდება იმ ახალი სსბასს სტანდარტის გამოცემის პარალელურად, რომელიც შეფასებას ეხება.

განმარტებითი შენიშვნები

დს14. სსბასსს-მ დაასკვნა, რომ საჯარო სექტორში მნიშვნელოვანია გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, როდესაც ერთეული გრძელვადიანი აქტივების გაყიდვას გადაწყვეტს. ამიტომ, როდესაც აქტივი გასაყიდად გამიზნულად არის კლასიფიცირებული და შეფასებულია საბალანსო ღირებულებით, რომელიც სამართლიან ღირებულებაზე არსებითად დაბალია, აქტივის სამართლიანი ღირებულების შესახებ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნება მომხმარებლებს აწვდის ინფორმაციას, რომელიც ერთეულის ანგარიშვალდებულებას აჩვენებს. სსბასსს-მ ასევე აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილებები შესაბამისობაშია სსბასსს-ის კონსულტანტ-მრჩეველთა გუნდის წევრების რჩევასთან, კერძოდ, იმაზე, რომ ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ერთეულს მოსთხოვონ ანგარიშვალდებულება გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების თაობაზე, საზოგადოების ინტერესებშია.

ძალაში შესვლის თარიღი

დს15. სსბასსს-მ გადაწყვიტა, რომ სსბასს 44 ძალაშია იმ წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელიც მოიცავს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ პერიოდებს. ეს თარიღი ასევე შესაბამისობაშია სსბასს 45-ის „იჯარა“ ძალაში შესვლის თარიღთან. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნეს ასევე სსბასს 43-იც, იჯარა.

მითითებები დანერგვაზე

შინაარსი

მაგალითები

დაუყოვნებლივ გაყიდვისთვის ხელმისაწვდომობა (პუნქტი 12).....	1-3
გაყიდვის დასრულება, რომელიც მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში (პუნქტი 13)	4
გამონაკლისები იმ კრიტერიუმიდან, რომლის მიხედვითაც გაყიდვა ერთ წელში უნდა დასრულდეს (პუნქტი 13 და დანართი „ა“)	5-7
განსაზღვრა იმისა, გაუქმდა თუ არა აქტივი	8
იმ შეწყვეტილი ოპერაციის წარდგენა, რომელიც გაუქმდა	9
გაუფასურების ზარალის განაწილება გამსვლელ ჯგუფზე	10
შეწყვეტილი ოპერაციების წარდგენა ფინანსური შედეგების ანგარიშებაში	11
გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივის ან გამსვლელი ჯგუფის წარდგენა	12
იმ კონტროლირებული ერთეულების შეფასება და წარდგენა, რომელთა შემენა მოხდა ხელახლა გაყიდვის მიზნით და გასაყიდად გამიზნულადაა კლასიფიცირებული	13

მითითებები დანერგვაზე

წინამდებარე მითითებები თან ერთვის, მაგრამ არ წარმოადგენს სსბას 44-ის ნაწილს.

დაუყოვნებლივ გაყიდვისთვის ხელმისაწვდომობა (პუნქტი 12)

იმისათვის, რომ გრძელვადიანი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) კლასიფიცირდეს გასაყიდად გამიზნულად, შესაძლებელი უნდა იყოს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) დაუყოვნებელი გაყიდვა არსებულ მდგომარეობაში, მხოლოდ ასეთი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) გაყიდვის ჩვეულებრივი პირობებით (პუნქტი 12). გრძელვადიანი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) ხელმისაწვდომია დაუყოვნებლივ გასაყიდად თუ სახელმწიფო ერთეულს ამჟამად აქვს განზრახვა და უნარი მყიდველს გადასცეს აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) არსებულ მდგომარეობაში. 1-3 მაგალითებში ნაჩვენებია სიტუაციები, რომლებშიც ხდება ან ვერ ხდება მე-12 პუნქტში მოცემული კრიტერიუმის დაკმაყოფილება.

მაგალითი 1

სახელმწიფო ერთეული მზადაა მუნიციპალური შენობის გაყიდვის გეგმის შესასრულებლად და წამოიწყოს მოქმედებები მყიდველის მოსაძებნად.

- ა) სახელმწიფო ერთეულს განზრახული აქვს, რომ შენობა მყიდველს გადასცეს მას შემდეგ, რაც თავად დაცლის შენობას. შენობის დაცლისთვის საჭირო დრო ასეთი აქტივების გაყიდვისთვის ტიპური და ჩვეულებრივ საყოველთაოდ მიღებული ვადაა. მე-12 პუნქტში მოცემული კრიტერიუმი დაკმაყოფილება გეგმის დამტკიცების თარიღში.
- ბ) სახელმწიფო ერთეული გააგრძელებს შენობის გამოყენებას მანამ, სანამ ახალი მუნიციპალური შენობის მშენებლობა არ დასრულდება. სახელმწიფო ერთეულს არ აქვს განზრახული, რომ არსებული შენობა მყიდველს გადასცეს მანამ, სანამ ახალი შენობის მშენებლობა დასრულდება (და ის არსებულ შენობას დაცლის). არსებული შენობის გადაცემის ვადის დაყოვნება, რომელიც დაწესებულია სახელმწიფო ერთეულის (გამყიდველის) მიერ, გვიჩვენებს, რომ შენობა დაუყოვნებლივ გასაყიდად ხელმისაწვდომი არ არის. მე-12 პუნქტში მოცემული კრიტერიუმი

არ დაკმაყოფილდება მანამ, სანამ ახალი შენობის მშენებლობა არ დასრულდება, მიუხედავად იმისა, რომ არსებული შენობის სამომავლო გადაცემისთვის შესყიდვის მყარი ვალდებულება შესაძლოა უფრო ადრე იქნას აღებული.

მაგალითი 2

სახელმწიფო ერთეული მზადაა გზების შეკეთების ოპერაციის გაყიდვის გეგმის შესასრულებლად და წამოიწყო მოქმედებები მყიდველის მოსაძებნად. გეგმის დამტკიცების თარიღში, ჯერ კიდევ არსებობს სახელმწიფო გზების შეკეთების შესახებ შეკვეთები, რომელიც ერთეულს ჯერ არ დაუსრულებია.

- ა) სახელმწიფო ერთეულს განზრახული აქვს, რომ გზების შეკეთების ოპერაცია გაყიდოს სახელმწიფო გზების შეკეთების შესახებ არსებულ შეკვეთებთან ერთად. სახელმწიფო გზების შეკეთების ნებისმიერი დაუსრულებელი შეკვეთა გაყიდვის თარიღში გადაეცემა მყიდველს და მყიდველი სახელმწიფო გზებს შეაკეთებს ხელშეკრულების საფუძველზე. სახელმწიფო გზების შეკეთების დაუსრულებელი შეკვეთების გაყიდვის თარიღში გადაცემა გავლენას არ მოახდენს ობიექტის გადაცემის ვადაზე. მე-12 პუნქტში მოცემული კრიტერიუმი დაკმაყოფილდება გეგმის დამტკიცების თარიღში.
- ბ) სახელმწიფო ერთეულს განზრახული აქვს, რომ გაყიდოს გზების შეკეთების ოპერაცია, თუმცა გზების შეკეთების არსებული შეკვეთების გარეშე. სახელმწიფო ერთეულს არ აქვს განზრახული, რომ ოპერაცია მყიდველს გადასცეს მანამ, სანამ სახელმწიფო გზების შეკეთების შეკვეთები არ შესრულდება. ოპერაციის გადაცემის ვადაში დაყოვნება, რომელიც დაწესებულია სახელმწიფო ერთეულის (გამყიდველის) მიერ, გვიჩვენებს, რომ ოპერაცია დაუყოვნებლივ გასაყიდად ხელმისაწვდომი არ არის. მე-12 პუნქტში მოცემული კრიტერიუმი არ დაკმაყოფილდება მანამ, სანამ სახელმწიფო გზების შეკეთების შეკვეთები არ შესრულდება, მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციის სამომავლო გადაცემისთვის შესყიდვის მყარი ვალდებულება შესაძლოა უფრო ადრე იქნას აღებული.

მაგალითი 3

სახელმწიფო ერთეულს მფლობელისთვის გადასახადების გადაუხდელობის გამო ჩამორთმეული აქვს უძრავი ქონება, რომელიც მოიცავს მიწასა და შენობებს და რომლის გაყიდვასაც გეგმავს.

- ა) სახელმწიფო ერთეულს არ აქვს განზრახული, უძრავი ქონება მყიდველს გადასცეს მანამ, სანამ არ დაასრულებს რემონტს იმ მიზნით, რომ უძრავი ქონების გაყიდვის ღირებულება გაზარდოს. უძრავი ქონების გადაცემის ვადაში დაყოვნება, რომელიც დაწესებულია სახელმწიფო ერთეულის (გამყიდველის) მიერ, გვიჩვენებს, რომ უძრავი ქონება დაუყოვნებლივ გასაყიდად ხელმისაწვდომი არ არის. მე-12 პუნქტში მოცემული კრიტერიუმი არ დაკმაყოფილდება მანამ, სანამ რემონტი არ დასრულდება.
- ბ) მას შემდეგ, რაც რემონტი დასრულდება და უძრავი ქონება კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული, თუმცა შესყიდვის მყარი ვალდებულების აღება ჯერ არ მომხდარა, სახელმწიფო ერთეულისთვის ცნობილი ხდება გარემოს დაზიანების შესახებ, რომელიც რემედიაციას მოითხოვს. სახელმწიფო ერთეულს კვლავ აქვს განზრახული, რომ უძრავი ქონება გაყიდოს. თუმცა, სახელმწიფო ერთეულს არ შეუძლია, რომ უძრავი ქონება მყიდველს გადასცეს მანამ, სანამ რემედიაცია არ დასრულდება. უძრავი ქონების გადაცემის ვადაში დაყოვნება, რომელიც დაწესებულია სხვების მიერ შესყიდვის მყარი ვალდებულების აღებამდე, გვიჩვენებს, რომ უძრავი ქონება დაუყოვნებლივ გასაყიდად ხელმისაწვდომი არ არის. ვეღარ მოხდება მე-12 პუნქტში მოცემული კრიტერიუმის დაკმაყოფილება, რადგან უძრავი ქონება დაუყოვნებლივ გასაყიდად ხელმისაწვდომი აღარ არის. უძრავი ქონების ფლობისა და გამოყენების მიზნის მიხედვით ხელახლა მოხდება მისი კლასიფიცირება 34-ე პუნქტის შესაბამისად.

გაყიდვის დასრულება, რომელიც მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში (პუნქტი 13)

მაგალითი 4

გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებისთვის, გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვა დიდი ალბათობით მოსალოდნელი უნდა იყოს (პუნქტი 12), და აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გადაცემის დასრულებულ გაყიდვად აღიარება შესაძლებელი უნდა იყოს ერთი წლის განმავლობაში (პუნქტი 13). ეს კრიტერიუმი არ დაკმაყოფილდება, თუ, მაგალითად:

- ა) სახელმწიფო ერთეული, რომელიც კომპიუტერულ მოწყობილობას აწვდის დაქვემდებარებულ უწყებას, ფლობს მოძველებულ მოწყობილობას, და ჯერ არ არის გადაწყვეტილი, მოწყობილობის გაყიდვა დაქირავებულებზე მოხდება, საჯარო სექტორის სხვა ერთეულს გადაეცემა უფასოდ, თუ არაკომერციულ სუბიექტს გადაეცემა შეწირულობის სახით.
- ბ) სახელმწიფო ერთეული მხარს უჭერს იმ ქონების "გაყიდვის" გეგმას, რომლის გამოყენება ხდება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციების ფარგლებში, მაგრამ ეს ოპერაცია არ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს იმისათვის, რომ აღიარებულ იქნას როგორც გაყიდვა სსბასს 43-ის, იჯარა, 98-ე პუნქტის შესაბამისად, და ამის ნაცვლად, მისი აღიარება მოხდება სსბასს 43-ის 102-ე პუნქტის შესაბამისად.

გამონაკლისები იმ კრიტერიუმიდან, რომლის მიხედვითაც გაყიდვა ერთ წელში უნდა დასრულდეს (პუნქტები 13 და მგ1)

მე-13 პუნქტში მოცემული ერთწლიანი მოთხოვნიდან გამონაკლისი ვრცელდება იშვიათ სიტუაციებზე, როდესაც გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის დასასრულებლად საჭირო პერიოდი გაგრძელდება (ან გაგრძელდა) ერთეულის კონტროლის მიღმა არსებული მოვლენების ან გარემოებების საფუძველზე, და თუ გარკვეული პირობებია დაკმაყოფილებული (პუნქტები 15 და მგ1). 5-7 მაგალითებში ასეთი სიტუაციებია ნაჩვენები.

მაგალითი 5

ენერგიის გამომუშავების დარგში მოქმედი სახელმწიფო ერთეული მხარს უჭერს იმ გამსვლელი ჯგუფის გაყიდვის გეგმას, რომელიც მისი რეგულირებული ოპერაციების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. გაყიდვა მოითხოვს, რომ პოტენციურმა მყიდველებმა მიიღონ მარეგულირებელი ორგანოს თანხმობა, რამაც შეიძლება გაყიდვის დასრულებისთვის საჭირო პერიოდი ერთ წელზე მეტად გაზარდოს.

თანხმობის მისაღებად საჭირო ქმედებები არ შეიძლება დაიწყოს მანამ, სანამ მყიდველი არ იქნება ცნობილი და შესყიდვის მყარი ვალდებულება არ იქნება მოპოვებული. თუმცა, შესყიდვის მყარი ვალდებულების მოპოვება მაღალი ალბათობით არის მოსალოდნელი ერთი წლის განმავლობაში. ამ სიტუაციაში, მე-13 პუნქტში მოცემული ერთწლიანი მოთხოვნიდან გამონაკლისის მისაღებად მგ1(ა) პუნქტში მოცემული პირობები დაკმაყოფილდება.

მაგალითი 6

სახელმწიფო ერთეული მხარს უჭერს სახელმწიფო საწარმოო ობიექტის გაყიდვის გეგმას, არსებულ მდგომარეობაში, და ამ თარიღში ახდენს ობიექტის გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებას. შესყიდვის მყარი ვალდებულების მოპოვების შემდეგ, მყიდველის მიერ ქონების ინსპექტირებამ გამოავლინა გარემოს დაზიანება, რომლის არსებობა აქამდე ცნობილი არ იყო. სახელმწიფო ერთეულს მყიდველი სთხოვს ზიანის ანაზღაურებას, რაც გაყიდვის დასასრულებლად საჭირო პერიოდს ერთ წელზე მეტად გაზრდის. თუმცა, სახელმწიფო ერთეულმა წამოიწყო ქმედებები ზიანის ასანაზღაურებლად, და ზიანის აღდგენის მოთხოვნის დაკმაყოფილება მაღალი ალბათობით მოსალოდნელია. ამ სიტუაციაში, მე-13 პუნქტში მოცემული ერთწლიანი მოთხოვნიდან გამონაკლისის მისაღებად მგ1(ბ) პუნქტში მოცემული პირობები დაკმაყოფილდება.

მაგალითი 7

სახელმწიფო ერთეული მხარს უჭერს გრძელვადიანი აქტივის გაყიდვის გეგმას და იმავე თარიღში ახდენს აქტივის გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებას.

- ა) საწყისი ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში, ბაზრის პირობები, რომლებიც იმ თარიღში არსებობდა, როდესაც აქტივი თავდაპირველად კლასიფიცირდა გასაყიდად გამიზნულად, გაუარესდა. შედეგად კი, აქტივი არ გაიყიდა ამ პერიოდის ბოლოს. ამ პერიოდის განმავლობაში, სახელმწიფო ერთეული აქტიურად

ეძებდა, მაგრამ არ მიუღია არცერთი გონივრული შეთავაზება აქტივის შეძენაზე. საპასუხოდ, მან ფასი შეამცირა. კვლავ ხდება აქტივის გაყიდვაზე მიმართული აქტიური მარკეტინგი ისეთი ფასით, რომელიც გონივრულია ბაზრის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, და, შესაბამისად, 12 და 13 პუნქტებში მოცემული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ამ სიტუაციაში, მე-13 პუნქტში მოცემული ერთწლიანი მოთხოვნიდან გამონაკლისის მისაღებად მგ1(გ) პუნქტში მოცემული პირობები დაკმაყოფილდება. საწყისი ერთწლიანი პერიოდის ბოლოს, აქტივი კვლავ კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიზნულად.

- ბ) შემდგომი ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში, ბაზრის პირობები კიდევ უფრო გაუარესდა, და აქტივი არ გაიყიდა ამ პერიოდის ბოლოს. სახელმწიფო ერთეულმა მიიჩნია, რომ ბაზრის პირობები გაუმჯობესდება და აქტივის ფასი დამატებით არ შეამცირა. აქტივი კვლავ გასაყიდად გამიზნულად არის კლასიფიცირებული, მაგრამ ისეთი ფასით, რომელიც აღემატება მის მიმდინარე სამართლიან ღირებულებას. ამ სიტუაციაში, ის ფაქტი, რომ ფასის შემცირება არ მოხდა, მიუთითებს იმაზე, რომ აქტივი დაუყოვნებლივ გასაყიდად ხელმისაწვდომი არ არის, როგორც ეს მე-12 პუნქტით მოითხოვება. გარდა ამისა, მე-13 პუნქტი ასევე მოითხოვს, რომ აქტივის გაყიდვაზე მიმართული მარკეტინგი ისეთი ფასით უნდა მოხდეს, რომელიც გონივრულია მის მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან მიმართებით. შესაბამისად, მე-13 პუნქტში მოცემული ერთწლიანი მოთხოვნიდან გამონაკლისის მისაღებად მგ1(გ) პუნქტში მოცემული პირობები ვერ დაკმაყოფილდება. აქტივის ფლობისა და გამოყენების მიზნის მიხედვით ხელახლა მოხდება მისი კლასიფიცირება 34-ე პუნქტის შესაბამისად.

განსაზღვრა იმისა, გაუქმდა თუ არა აქტივი (მე-20 და 21-ე პუნქტები)

წინამდებარე სტანდარტის მე-20 და 21-ე პუნქტები აზუსტებს მოთხოვნებს იმის თაობაზე, თუ როდის უნდა განიხილებოდეს აქტივები გაუქმებულად. მე-8 მაგალითში ნაჩვენებია, თუ როდის არ განიხილება აქტივი გაუქმებულად.

მაგალითი 8

სახელმწიფო ერთეული წევრებს საწყობი ობიექტის გამოყენებას, რადგან მის გამოყენებაზე მოთხოვნა შემცირდა. თუმცა, საწყობი ობიექტის სამუშაო მდგომარეობაში შენარჩუნება მაინც ხდება და მოსალოდნელია, რომ მასზე მოთხოვნის გაზრდის შემთხვევაში, ის კვლავ გამოყენებაში დაბრუნდება. საწყობი ობიექტი გაუქმებულად არ განიხილება.

იმ შეწყვეტილი ოპერაციის წარდგენა, რომელიც გაუქმდა (მე-20 პუნქტი)

წინამდებარე სტანდარტის მე-20 პუნქტი კრძალავს იმ აქტივების გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებას, რომელთა გაუქმებაც მოსალოდნელია. თუმცა, თუ აქტივები, რომელთა გაუქმებაც მოსალოდნელია, წარმოადგენს ძირითად ოპერაციას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს, ისინი აისახება შეწყვეტილ ოპერაციებში იმ თარიღში, როდესაც მათი გაუქმება მოხდება. მე-9 მაგალითში ნაჩვენებია ეს სიტუაცია.

მაგალითი 9

20X5 წლის ოქტომბერში სახელმწიფო ერთეული გადაწყვეტს გააუქმოს იარაღის საწარმოო ყველა ობიექტი. ეს ობიექტები მის ძირითად ოპერაციას წარმოადგენს. იარაღის საწარმოო ობიექტებზე ყველა სამუშაო წყდება 20X6 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში. 20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, იარაღის საწარმოო ობიექტების შედეგები და ფულადი ნაკადები განიხილება როგორც უწყვეტი საქმიანობა. 20X6 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, იარაღის საწარმოო ობიექტების შედეგები და ფულადი ნაკადები განიხილება როგორც შეწყვეტილი ოპერაციები, და სახელმწიფო ერთეული ამზადებს ამ სტანდარტის 42-ე და 43-ე პუნქტებით მოთხოვნილ განმარტებით შენიშვნებს.

გაუფასურების ზარალის განაწილება გამსვლელ ჯგუფზე (31-ე პუნქტი)

წინამდებარე სტანდარტის 31-ე პუნქტის თანახმად, გაუფასურების ზარალი (ან შემდგომი მოგება), რომელიც აღიარებული იყო გამსვლელი ჯგუფისათვის, შეამცირებს (ან გაზრდის) ჯგუფში შემავალი იმ გრძელვადიანი აქტივის საბალანსო ღირებულებას, რომელიც წინამდებარე სტანდარტის შეფასების მოთხოვნების ფარგლებშია, სსბასს 36-ის 91-ე და 110-ე პუნქტებში აღწერილი განაწილების გამოყენებით. მე-10 მაგალითში ილუსტრირებულია როგორ ხდება გამსვლელ ჯგუფზე გაუფასურების ზარალის განაწილება.

მაგალითი 10

სახელმწიფო ერთეული გეგმავს საკუთარი აქტივების ჯგუფის გასვლას (აქტივების გაყიდვის სახით). აქტივები ქმნის გამსვლელ ჯგუფს და ფასდება შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებამდე	საბალანსო ღირებულება, ხელახლა შეფასებული უშუალოდ გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებამ დე
	ფე ^(ა)	ფე
გუდვილი	1 500	1 500
ძირითადი აქტივები (გადაფასებული ღირებულებით)	4 600	4 000
ძირითადი აქტივები (თვითღირებულებით)	5 700	5 700
მარაგები	2 400	2 200
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	1 800	1 500
სულ:	16 000	14 900

(ა) ამ სახელმძღვანელო მითითებებში ფულადი თანხები გამოსახულია „ფულად ერთეულებში (ფე)“

სახელმწიფო ერთეული აღიარებს 1,100 ფე ოდენობის (16,000 საანგარიშო ერთეული – 14,900 საანგარიშო ერთეული) ზარალს გამსვლელი ჯგუფის უშუალოდ გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებამდე.

სახელმწიფო ერთეულის შეფასებით გამსვლელი ჯგუფისთვის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება შეადგენს 13,000 ფე-ს. იმის გამო, რომ სახელმწიფო ერთეული გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფს აფასებს მის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით, სახელმწიფო ერთეული აღიარებს 1,900 ფე-ის ოდენობის (14,900 ფე-ს მინუს 13,000 ფე) გაუფასურების ზარალს, როდესაც თავდაპირველად ხდება ჯგუფის გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირება.

გაუფასურების ზარალი ნაწილდება იმ გრძელვადიან აქტივებზე, რომლებზეც ამ სტანდარტის შეფასების მოთხოვნები ვრცელდება. შესაბამისად, გაუფასურების ზარალი არ ნაწილდება მარაგებზე და ინვესტიციებზე წილობრივ ინსტრუმენტებში. ზარალი ნაწილდება სხვა აქტივებზე სსბასს 26-ის 91-ე და 110-ე პუნქტებში მოცემული განაწილების მიხედვით.

განაწილება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება, ხელახლა შეფასებული უშუალოდ გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირე ბამდე	განაწილებული გაუფასურების ზარალი	საბალანსო ღირებულება გაუფასურების ზარალის განაწილების შემდეგ
	ფე	ფე	ფე
გუდვილი	1 500	1 500	0
ძირითადი აქტივები (გადაფასებული ღირებულებით)	4 000	165	3 835
ძირითადი აქტივები (თვითღირებულებით)	5 700	235	5 465
მარაგები	2 200	–	2 200
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	1 500	–	1 500

სულ:

14 900

1 900

13 000

ჯერ, გაუფასურების ზარალი ამცირებს გუდვილის ნებისმიერ არსებულ თანხას. შემდეგ, დარჩენილი ზარალი ნაწილდება სხვა აქტივებზე პროპორციულად ამ აქტივების საბალანსო ღირებულებების საფუძველზე.

შეწყვეტილი ოპერაციების წარდგენა ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში (42-ე პუნქტი)

წინამდებარე სტანდარტის 42-ე პუნქტის თანახმად, ერთეულმა ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში შეწყვეტილი ოპერაციებისთვის უნდა გაამჟღავნოს ერთიანი თანხა, და ასევე მისი ანალიზი უნდა შეიტანოს შენიშვნებში ან ფინანსური შედეგების ანგარიშგების ცალკე განყოფილებაში, უწყვეტი საქმიანობისგან განცალკევებით. მე-11 მაგალითი ასახავს, თუ როგორ შეიძლება დაკმაყოფილდეს ეს მოთხოვნები.

მაგალითი 11

XYZ სახელმწიფო ერთეული - საჯარო სექტორის ერთეული - ფინანსური შედეგების ანგარიშგება 20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ფუნქციების მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციის ილუსტრირება)

ათას ფულად ერთეულში	20X2	20X1
უწყვეტი საქმიანობა		
შემოსავლები		
გადასახადები	X	X
მოსაკრებელი, საურავი, ჯარიმები და ლიცენზიები	X	X
შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან	X	X
ტრანსფერები სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან	X	X
სხვა შემოსავლები	X	X

სულ შემოსავლები	X	X
ხარჯები		
საზოგადოებრივი მომსახურება	(X)	(X)
თავდაცვა	(X)	(X)
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	(X)	(X)
განათლება	(X)	(X)
ჯანდაცვა	(X)	(X)
სოციალური სარგებელი	(X)	(X)
სოციალური დაცვის სხვა ხარჯები	(X)	(X)
საბინაო და კომუნალური მომსახურება	(X)	(X)
გართობა, კულტურა და რელიგია	(X)	(X)
ეკონომიკური საქმიანობა	(X)	(X)
გარემოს დაცვა	(X)	(X)
სხვა ხარჯები	(X)	(X)
ფინანსური დანახარჯები	(X)	(X)
სულ ხარჯები	(X)	(X)
წილი მეკავშირე ერთეულების ნამეტში*	X	X
-		
პერიოდის ნამეტი/(დეფიციტი) უწყვეტი საქმიანობიდან	X	X

შეწყვეტილი ოპერაციები

პერიოდის ნამეტი შეწყვეტილი ოპერაციებიდან ^(ა)	X	X
პერიოდის ნამეტი	X	X

მისაკუთვნებელი:

მაკონტროლებელი ერთეულის მფლობელებზე

პერიოდის ნამეტი უწყვეტი საქმიანობიდან	X	X
პერიოდის ნამეტი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	X	X
პერიოდის ნამეტი მისაკუთვნებელი მაკონტროლებელი ერთეულის მფლობელებზე	X	X

უმცირესობის წილი

პერიოდის ნამეტი უწყვეტი საქმიანობიდან	X	X
პერიოდის ნამეტი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	X	X
პერიოდის ნამეტი მისაკუთვნებელი უმცირესობის წილზე	X	X
	X	X

* ეს ნიშნავს მეკავშირე ერთეულების ნამეტის წილს, რომელიც მიეკუთვნება მეკავშირე ერთეულების მფლობელებს, ანუ, წილს, რომელიც რჩება გადასახადების გადახდისა და მეკავშირე ერთეულების უმცირესობის წილის გამოკლების შემდეგ.

(ა) საჭირო ანალიზი მოცემულია შენიშვნებში.

გასაყიდად გამოზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივის ან გამსვლელი ჯგუფის წარდგენა (48-ე პუნქტი)

წინამდებარე სტანდარტის 48-ე პუნქტის თანახმად, ერთეულმა გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივი და გამსვლელი ჯგუფის აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიზნულად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა აქტივებისგან განცალკევებულად უნდა წარადგინოს. სხვა ვალდებულებებისაგან განცალკევებით უნდა იყოს წარდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასევე გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გამსვლელი ჯგუფის ვალდებულებებიც. არ შეიძლება ამ აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ერთიანი თანხის სახით წარდგენა. მე-12 მაგალითში ილუსტრირებულია ეს მოთხოვნები.

მაგალითი 12

20X5 წლის ბოლოს, სახელმწიფო ერთეული გადაწყვეტს საკუთარი აქტივების ნაწილის (და პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებების) გასვლას. გასვლა, რომელიც აკმაყოფილებს 12 და 13 პუნქტებში მოცემულ გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს, შექმნის ორ გამსვლელ ჯგუფს, შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების შემდეგ	
	გამსვლელი ჯგუფი I: ფი	გამსვლელი ჯგუფი II: ფი
ძირითადი აქტივები	4 900	1 700
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	1 400 ^(a)	–
ვალდებულებები	2 400	900
გამსვლელი ჯგუფის წმინდა საბალანსო ღირებულება	3 900	800

სახელმწიფო ერთეულის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გამსვლელი ჯგუფების წარდგენა შეიძლება

მოხდეს შემდგენიარად:

(ა) ამ აქტივებთან დაკავშირებული თანხა 400ფე-ის ოდენობით აღიარებულ იქნა წმინდა აქტივები/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში და დაგროვილი სახით აისახება წმინდა აქტივებში/კაპიტალში.

	20X5	20X4
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივი		
AAA	X	X
BBB	X	X
CCC	X	X
	X	X
მოკლევადიანი აქტივები		
DDD	X	X
EEE	X	X
	X	X
გასაყიდად გამოიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები	8 000	–
	X	X
	20X5 წ.	20X4 წ.
სულ აქტივები	X	X

წმინდა აქტივები/კაპიტალი და ვალდებულებები

წმინდა აქტივები/კაპიტალი მისაკუთვნებელი მაკონტროლებელი ერთეულის მფლობელებზე

FFF	X	X
GGG	X	X
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებული და წმინდა აქტივებში/კაპიტალში დაგროვილი თანხები, რომლებიც დაკავშირებულია გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებთან	400	–
	<u>X</u>	<u>X</u>
უმცირესობის წილი	<u>X</u>	<u>X</u>
სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი	<u>X</u>	<u>X</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები		
HHH	X	X
III	X	X
III	X	X
	<u>X</u>	<u>X</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები		
KKK	X	X
LLL	X	X
MMM	X	X
	<u>X</u>	<u>X</u>
გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გრძელვადიან აქტივებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები	3 300	–
	<u>X</u>	<u>X</u>
სულ ვალდებულებები	<u>X</u>	<u>X</u>
სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი და ვალდებულებები	<u><u>X</u></u>	<u><u>X</u></u>

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) წარდგენის მოთხოვნები რეტროსპექტულად არ გამოიყენება. შესაბამისად, ნებისმიერი წინა პერიოდის შესადარისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადაანგარიშება არ ხდება.

იმ კონტროლირებული ერთეულების შეფასება და წარდგენა, რომელთა შეძენა მოხდა ხელახლა გაყიდვის მიზნით და გასაყიდად გამიზნულადა კლასიფიცირებული (მე-17 პუნქტი)

კონტროლირებული ერთეული, რომლის შეძენა მოხდა ხელახლა გაყიდვის მიზნით, არ თავისუფლდება კონსოლიდაციის მოთხოვნისგან სსბასს 35-ის - *კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება* - შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მყიდველი ერთეული არის საინვესტიციო სუბიექტი, როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 35-ში, და მოეთხოვება, რომ ამ კონტროლირებულ ერთეულში ინვესტიცია შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით ნამეტში ან დეფიციტში ასახვით. თუმცა, თუ ის მე-17 პუნქტში მოცემულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, მისი წარდგენა უნდა მოხდეს, როგორც გამსვლელი ჯგუფისა, რომელიც გასაყიდად გამიზნულადა კლასიფიცირებული. მე-13 მაგალითში ილუსტრირებულია ეს მოთხოვნა.

მაგალითი 13

სახელმწიფო ერთეულმა „A“-მ შეიძინა ერთეული „H“, რომელიც აკონტროლებს (ე.ი. არის მაკონტროლებელი ერთეული) ორ კონტროლირებულ ერთეულს - „CE1“-ს და „CE2“-ს. „CE2“ შეძენილ იქნა მხოლოდ და მხოლოდ მისი ხელახლა გაყიდვის მიზნით და აკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს. 41(გ) პუნქტის შესაბამისად, „CE2“ არის ასევე შეწყვეტილი ოპერაცია.

„CE2“-ის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება შეადგენს 135 ფე-ს. სახელმწიფო ერთეული „A“ „CE2“-ს აღრიცხავს შემდეგნაირად:

- თავდაპირველად, სახელმწიფო ერთეული „A“ აფასებს „CE2“-ის იდენტიფიცირებად ვალდებულებებს სამართლიანი ღირებულებით, მაგალითად, 40 ფე-ს ოდენობით.
- თავდაპირველად, სახელმწიფო ერთეული „A“ აფასებს შემცირებული აქტივებს „CE2“-ის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით (135 ფე) პლიუს იდენტიფიცირებადი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით (40 ფე), ანუ 175 ფე-ის ოდენობით.
- საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სახელმწიფო ერთეული A გამსვლელ ჯგუფს ხელახლა აფასებს მის თვითღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით, მაგალითად, 130 ფე-ის ოდენობით. ვალდებულებები ხელახლა შეფასდება შესაბამისი სსბასს-ის გამოყენებით, მაგალითად, 35 ფე-ის ოდენობით. აქტივების ჯამური თანხა შეფასდება 130 ფე + 35 ფე, ე.ი. 165 ფე-ის ოდენობით.
- საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სახელმწიფო ერთეული A საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს სხვა აქტივებისა და ვალდებულებებისგან განცალკევებულად წარადგენს, როგორც ეს ნაჩვენებია მე-12 მაგალითში *(გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივის ან გამსვლელი ჯგუფის წარდგენა)*, და
- ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში, სახელმწიფო ერთეული A წარადგენს „CE2“-ის დაბეგვრის შემდგომი ნამეტის ან დეფიციტის და „CE2“-ის შემდგომი ხელახალი შეფასებისას აღიარებული დაბეგვრის შემდგომი მოგების ან ზარალის ჯამურ თანხას, რომელიც უტოლდება გამსვლელი ჯგუფის ხელახალ შეფასებას, რომელიც 135 ფე-დან 130 ფე-მდე შემცირდა.

აქტივებისა და ვალდებულებების ან გამსვლელი ჯგუფის ღირებულების ცვლილების დამატებითი ანალიზი არ მოითხოვება.

ფასს 5-თან შედარება

სსბასს 44 - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“
- უპირატესად ფასს 5-დან - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ (გამოცემული 2004 წელს, 2017 წლის მასამდე ცვლილებების ჩათვლით) - გამომდინარეობს.

სსბასს 44-სა და ფასს 5-ს შორის ძირითადი განსხვავებები შემდეგია:

- სსბასს 44 მოითხოვს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებას, თუ სამართლიანი ღირებულება არსებითად განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან.
- სსბასს 44 ცვლის ფასს 5-ში მოცემულ „ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის“ განმარტებას „ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის“ იმ განმარტებით, რომელიც სსბასს 26-შია - „ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება“ - მოცემული.
- სსბასს 44-ში აღიარებულია, რომ საჯარო სექტორის ერთეულების გაერთიანებები განსხვავდება საწარმოთა გაერთიანებისაგან და მათ შეიძლება ჰქონდეთ შეძენის ან

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკასთან (GFS) შედარება

სსბასს 44-ის - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ - შემუშავებისას, სსბასსს-მ სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკით (GFS) გათვალისწინებული ანგარიშების შესახებ სახელმძღვანელო მითითებები გაითვალისწინა.

GFS-თან ძირითადი მსგავსებები და განსხვავებები შემდეგია:

- GFS იყენებს საბაზრო ღირებულებას, როგორც შეფასების საერთო მიდგომას ყველა აქტივისთვის. სსბასს 44-ის შესაბამისად, ერთეული გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს) აფასებს მის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. სსბასს-ის მიხედვით სამართლიან ღირებულების შეფასების მეთოდად საბაზრო ღირებულების გამოყენება შეიძლება.
- სსბასს 44-ის შესაბამისად, გრძელვადიანი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) კლასიფიცირდება გასაყიდად გამიზნულად, თუ შესაძლებელია მისი დაუყოვნებელი გაყიდვა არსებულ მდგომარეობაში მხოლოდ ასეთი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) გაყიდვის ჩვეულებრივი პირობებით და მისი გაყიდვა დიდი ალბათობით